

სამუელ ბეკეტი

ო, ეს ბედნიერი დღეები

ფრანგულიდან თარგმნა ირინა ლოლობერიძემ

ყველა უფლება დაცულია

© The Grove Atlantic Inc.

© გამომცემლობა „საარი“, 2005

© ირინა ლოლობერიძე. თარგმანი, 2005

თარგმანი დაიბეჭდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის
სამინისტროს ფინანსური ხელშეწყობით

კრებულში „თანამედროვე ფრანგული თეატრი“

პერსონაჟები:

ვინი – ორმოცდაათს მიღწეული ქალი.

ვილი – სამოციოდე წლის მამაკაცი.

პირველი მოქმედება

სცენის შუაგულში გამხმარი ბალახების პატარა გორაკია აღმართული. გორაკის ფერდობები მსუბუქი დაქანებით ეშვება მარჯვნივ, მარცხნივ და სცენისკენ. უკანა ფერდი უფრო ციცაბო ჩანს. ყველაფერი უკიდურესად მარტივი და სიმეტრიულია.

თვალისმომჭრელი შუქი.

სცენის კედლის პომპეზური ტილო უღრუბლო ცისა და მოუხნავი მიწის შორეთში შეერთების რეალისტურ პეიზაჟს წარმოსახავს.

გორაკის ზუსტად შუაგულის შემადღებაზე მკერდამდე ჩაფლული ვინია მოკალათებული – ასე ორმოცდაათი წლის, კარგად შენახული ქალი. უმჯობესია ქერა იყოს; ვინი ჩაპუტკუნებულია, მხრები და ხელები მოშიშვლებული აქვს. მკერდსავე დეკოლტეს მარგალიტის მძივი უმშვენებს. ვინის სძინავს, ხელები გორაკზე შემოუწყვია, თავი კი ხელებზე უდევს. მის გვერდით, მარცხნივ დიდი შავი ხელჩანთა დევს.

მარჯვენა მხარეს მიწაზე გაშოტილი ვილის სძინავს. ის თითქმის არ ჩანს.

გრძელი პაუზა.

ისმის ზარის გამაყრუებელი ხმა, რომელიც ხუთიოდ წამს გრძელდება, მერე სიჩუმე. ვინი არ ინძრევა. ზარი უფრო ხმამალა დაირეკება.

ვინი იღვიძებს. ზარის ხმა წყდება. ვინი თავს წამოწევს და პირდაპირ დარბაზში იყურება. გრძელი პაუზა. ის წამოიწევა, ხელებით გორაკს დაეყრდნობა, თავს უკან გადასწევს და ცას შეაჩერდება.

გრძელი პაუზა.

ვინი – (ცას უყურებს) კიდევ ერთი ღვთაებრივი დღე. (პაუზა. თავს გაასწორებს, ისევ პირდაპირ დარბაზს შეხედავს. პაუზა. ხელებს გადააჯვარედინებს, მკერდზე დაიწყობს და თვალეებს დახუჭავს. ერთი-ორი წამი მისი ტუჩები უხმო ლოცვას წარმოთქვამენ. მერე გაჩერდება, მაგრამ ხელები ისევ მკერდზე აქვს დაწყობილი. ჩურჩულით) იესო ქრისტე, ამინ. (თვალეებს გაახელს, ხელებს გაასწორებს და მკერდზე დაიწყობს. სამიოდ წამი მისი ტუჩები ისევ უხმო ლოცვას

აღავლენენ. ჩურჩულით) უკუნითი უკუნისამდე. ამინ. (თვალეებს გაახელს, ხელეებს გაასწორებს და ისევ გორაკზე შემოაწყობს. პაუზა) დაიწყო, ვინი! (პაუზა). ახალი დღე დაიწყო, ვინი! (პაუზა. ჩანთას მიუბრუნდება. ისე იქექება მასში ისე, რომ ადგილიდან არ დაძრავს, ბოლოს კბილის ჯაგრისს ამოიღებს, მერე ისევ იქექება, ნახმარ, უკვე გაბრტყელებულ პასტას ამოიღებს, სახურავს მოხდის და გორაკზე შემოდებს; ცოტაოდენ პასტას ძლივს ამოქაჩავს და კბილების გახეხვას შეუდგება. თავს მარჯვნისაკენ მორცხვად მიაბრუნებს და გორაკის მიღმა მორიდებულად გადააფურთხებს. ვილის შეამჩნევს და უკეთ, რომ დაინახოს უკან გადაიხნიქება). ეი! (პაუზა. უფრო ხმამაღლა) ე-ეი! კუ-კუ! (პაუზა. ნაზი ღიმილით დარბაზისკენ მიბრუნდება, კბილის ჯაგრისს დადებს) საბრალო ვილი. (ღიმილის გარეშე პასტას დააკვირდება) – თავდება. (სახურავს ეძებს) – რას იზამ. (აიღებს სახურავს) – ვერაფერს. (სახურავს მოარგებს) – ყველაფერი ძველდება. (პასტას დადებს) – კიდევ ერთი უსიამოვნება. (ჩანთას მიუბრუნდება) – ეშველება რამე? (ჩანთაში იქექება) – არაფერი. (პატარა სარკეს ამოიღებს) – ასეა და რა ვქნა? (სარკეში კბილებს აკვირდება). საბრალო, საყვარელი ვილი. (ნეკით საჭრელ კბილებს ისინჯავს, გაურკვეველად ლაპარაკობს) – ჯანდაბა – (ზედა ტუჩს აიწევს, ღრძილებს აკვირდება, ისევ გაურკვეველად) – ღმერთო ჩემო! – (ტუჩის მეორე კიდეს აიწევს, ისევ პირღია) – მაინც, არაუშავს – (ღრძილების დათვალიერებას რომ მორჩება, უკვე ნორმალური ხმით) – არც უკეთა მაქვს, არც უარესად – (სარკეს დადებს) – უცვლელად – (თითებს ბალახს შეაწმენდს) – მთავარია ალა მტკივა (კბილების ჯაგრისს ეძებს) – თითქმის – (ჯაგრისს იღებს) – და ეს მშვენიერია – (ჯაგრისის სახელურს აკვირდება, კითხულობს) – ნამდვილი... რაო? – (პაუზა) – რაო? – (ჯაგრისს დადებს) – ასეა, აბა – (ჩანთას მიუბრუნდება) – საბრალო ვილი – (ჩანთაში იქექება) – გემოვნება არა აქვს – (ისევ იქექება) – საერთოდ – (გასწორდება) – ცხოვრებაში – (სათვალის ბუდეს ამოიღებს) – მიზანი არა აქვს – (ბუდეს დადებს) – სულ სძინავს – (სათვალეს გახსნის) – საოცარი თვისებაა – (სათვალეს გაიკეთებს) – ჩემის აზრით (ისევ ჯაგრისს ეძებს) – შეუდარებელი – (ჯაგრისს აიღებს) – სულ ამას ვუჭიჩინებ – (ჯაგრისის სახელურს აკვირდება) – ნეტავ მეც შემემძლოს – (ჯაგრისს აკვირდება, კითხულობს) ნამდვილი... ბუნებრივი... რაო? (დადებს ჯაგრისს) – სულ დავბრმავდი – (სათვალეს მოიხსნის) – რას იზამ – (სათვალეს დადებს) – ბევრი რამ მინახავს – (ცხვირსახოცს ამოიღებს) – დროთა განმავლობაში – (ცხვირსახოცს ხელის მოქნევით გაშლის) – როგორაა იმ მშვენიერ ლექსში? – (ჯერ ერთ თვალს გაიმშრალებს) – ჯანდაბას ჩემი თავი – (მერე მეორეს) – ვინც ის ნახა, რაც მე ვნახე – (სათვალეს მოძებნის) – აბა – (სათვალეს აიღებს) – არაფერზე უარს არ ვამბობ (სათვალეს ცხვირსახოცით გაწმენდს, თან მინებს სულს უბერავს) – იქნებ ჯობდა, რომ მეთქვა – (სათვალეს წმენდს) – წმინდა ნათებავ! – (წმენდს) – ამ შავ უფსკრულში – (წმენდს) – გამინელე – (წმენდს) – ჯოჯოხეთური ქურის გიზგიზი (სათვალის წმენდას შეწყვეტს, ცას შეაჩერდება და მარჯვენა მხრიდან უკან გადაიხრება) – კუ-კუ! (პაუზა. განაზებული ღიმილით წელში გასწორდება და წმენდას განაგრძობს) – საოცარი თვისებაა – (წმენდას მორჩება, სათვალეს დებს) – ნეტავ მეც შემემძლოს – (ცხვირსახოცს დაკეცავს) – რას იზამ – (ცხვირსახოცს დეკოლტეში ჩამალავს) – ნეტავ. რა მაწუწუნებს – (სათვალეს ეძებს) – არა, არა – (სათვალეს აიღებს) – არ უნდა ვიწუწუნო – (სათვალეს შუქზე გახედავს) – რამდენი რამ მახსოვს ვარგი – (ისევ სათვალეს უყურებს) – უმტკივნეულო (სათვალეს გაიკეთებს) – აი, ეხლაც ტკივილები აღარ მაწუხებს... თითქმის – (ჯაგრისს ეძებს) – და ეს მშვენიერია – (ჯაგრისს ხელში აიღებს) – მხოლოდ უმნიშვნელო – (ჯაგრისს ათვალთქვავს) თავის ტკივილები, ხანდახან... (კითხულობს) – გარანტირებული... ნამდვილი... ბუნებრივი... რა.ა? – (თვალთან უფრო ახლოს მიიტანს) – ნამდვილი ბუნებრივი... (კორსაჟიდან ცვირსახოცს ამოიღებს) – ჰოდა ასე – (ცხვირსახოცს ხელის ერთი მოქნევით გაშლის) – დრო და დრო უცნაური შაკიკი მტანჯავს – (ჯაგრისის სახელურს გაწმენდს) – ამტკივდება – (ჯაგრისს წმენდს) – მერე გამივლის... ამდენი სიკეთე ჩემს მიმართ (მექანიკურად წმენდს ჯაგრისს) – ნამდვილი წყალობაა (შეჩერდება, გამტერებული აზრმოკლებული მზერა,

გაბზარული ხმით) – იქნებ უნაყოფო არ იყო – (პაუზა) – დილა-საღამოს ლოცვანი – (თავს დახრის, ჯაგრისისწმენდას განაგრძობს, თავს აწევს, მშვიდად შეიმშრალეხს ორივე თვალს, ცხვირსახოცს დაკეცავს და ისევ კორსაჟში შეინახავს, კითხულობს) – ასპროცენტთანად გარანტირებული, ნამდვილი, ბუნებრივი – (თვალეებთან ახლოს მიიტანს) – ნამდვილი ბუნებრივი... (სათვალეს მოიხსნის, დადებს, ჯაგრისსაც გვერდით მოუდებს, პირდაპირ იყურება). ძველი ნივთები. (პაუზა). ბებერი თვალეები. (გრძელი პაუზა). მიდი, ვინი, განაგრძე (ირგვლივ მიმოიხედავს, ქოლგას შეამჩნევს, დაამტერდება, აიღებს და ქოლგის ნაკეცებიდან გრძელ, ძალიან გრძელ სახელურს გამოადრობს. მარჯვენა ხელში დაშნასავით მოიმარჯვებს, უკან გადაიხრება და ვილის მიმართულებით მოიქნევს) კუ-კუ! (პაუზა) ვილი! (პაუზა) საოცარი თვისებაა, (ქოლგას მოუქნევს) ნეტავ მეც შემეძლოს! (კიდევ ერთი დარტყმა, ქოლგა ხელიდან გორაკის მიღმა უვარდება, ვილის უხილავი ხელი ქოლგას უმაღლ უკან უბრუნებს) მაღლობთ, ძვირფასო. (ქოლგას მარცხენა ხელში გადაიტანს, გასწორდება და მარჯვენა ხელისგულს ყურადღებით დააკვირდება) ნოტიოა! (ქოლგას მარჯვენა ხელში გადაიტანს და ეხლა მარცხენა ხელისგულს აკვირდება) არც უკეთ ვარ, არც უარესად, არც იქით ვარ, არც აქეთ (პაუზა) ტკივილიც არ მაწუხებს (ვილის შესახედით უკან გადაიწევა, ქოლგა ისევ საჩხველეთად აქვს მომარჯვებული) გთხოვ, ძვირფასო, აღარ დაიძინო, შეიძლება დამჭირდეს რამე – (პაუზა). ოჰ, სასწრაფო არაფერია, ოღონდ კნუტივით ნულარ მოიკაკვები. (გასწორდება, ქოლგას დადებს, ხელისგულეებს დაითვალეიერებს) არა, დღეს რაღაც ვერა ვარ კარგად. (ჩანთაში რაღაცის ძებნას დაიწყებს, რევოლვერს ამოიღებს, ტუჩებთან მიიტანს, აკოცებს, ჩანთაში ჩადებს, ძებნას განაგრძობს, თითქმის ცარიელ წითელსითხიან პატარა ბოთლს ამოიღებს, გასწორდება, სათვალეს გაიკეთებს და წარწერის კითხვას შეუდგება). ენერჯის დაქვეითება... ცხოვრებისადმი ინტერესის ნაკლებობა... უმადობა... ჩვილები... ბავშვები... მოზრდილები... ექვსი სავსე სუფრის კოვზი... ყოველდღე – (თავს აწევს, იღიმება) – ძველი სტილი! – (თავს დახრის, კითხულობს) - ყოველდღე... ჭამამდე... და ჭამის მერე... მომენტალური... (ბოთლი თვალეებთან მიაქვს) – გაუმჯობესება. (სათვალეს მოიხსნის, დადებს, ბოთლს სინათლეზე გახედავს რამდენი დარჩაო, მერე გახსნის, ერთიანად გამოცლის და თავსახურიანად ვილისკენ, გორაკის მიღმა მოისვრის. ისმის შუშის მსხვრევის ხმა). უჰ! ასე არა ჯობია! (ჩანთისკენ მიბრუნდება, პომადას მოძებნის, გასწორდება, პომადის შეამოწმებს) - დიდხანს აღარ მეყოფა – (სათვალეს მოძებნის) – რა გაეწყობა... (სათვალეს გაიკეთებს, სარკეს მოძებნის) არ უნდა ვიწუწუნო (სარკეში იყურება და ტუჩების შეღებვას იწყებს) როგორ იყო იმ მშვენიერ ლექსში? (ტუჩებს იღებავს) – ო, სწრაფმავალი სინარული – (იღებავს...) – ო, ტა-ტა ტა, უბედურებავ. (ისევ იღებავს, მაგრამ ვილის ფაცი-ფუცი შეაჩერებს. მან თითქოს ლოგინზე წამოჯდომა მოახერხა. პომადას და სარკეს განზე გაწევს და უკან გადაიხრება. პაუზა. გორაკიდან გამოჩნდება ვილის მელოტი კეფა, რომელსაც წითელ ძაფად სისხლი სდის. გამოჩნდება და გაირინდება. ვინი სათვალეს შუბლზე აიწევს. პაუზა. მოჩანს ცხვირსახოციანი ხელი. ვილი ცხვირსახოცს კეფაზე მიიფარებს და გაუჩინარდება. პაუზა. ხელი კვლავ გამოჩნდება. ამჯერად მას ორფერი ლენტით გაწყობილი შლიაპა-კანოტი უჭირავს. ხელი ქუდს მოხდენილად, ოდნავ ირიბად დაიდებს თავზე და ისევ გაუჩინარდება. პაუზა. ვინი უკან გადაიწევა, უყურებს.

ვინი - კალსონები ჩაიცვი, საყვარელო, მზე დაგწვავს. (პაუზა). არ გინდა? (პაუზა). უყურე შენ, მალამო შემოგრჩენია (პაუზა) კარგად შეიზილე, ჩემო სიცოცხლე (პაუზა) ეხლა მეორე ფეფო. (პაუზა. მობრუნდება. პირდაპირ დარბაზს უყურებს. ბედნიერი გამომეტყველებით) ო, რა ბედნიერი დღე გველის!

პაუზა.

(კმაყოფილი გამომეტყველება ჩაუქრება. სათვალეს ისევ ცხვირზე დაუშვებს და ისევ ტუჩების შეღებვას შეუდგება. ვილი გაზეთს გაშლის. მისი ხელები არ მოჩანს, მაგრამ თავი გაყვითლებული გაზეთის ფურცლებში ისეა მოქცეული, როგორც ჩარჩოში. ვინი პომადის წასმას მორჩება, სარკეს განზე გაწევს და მიღებულ შედეგს ამოწმებს) - ტუჩქორფა ქალი - (ვილი გაზეთს ფურცლავს. ვინი სარკესა და პომადას დადებს და ჩანთისკენ მიბრუნდება) - უფერული სულაც არ არის. (ვილი გაზეთს ფურცლავს. ვინი ჩანთაში იქექება, დაჭმუჭნულ, ფრთებით მორთულ, გადაპრანჭულ ქუდს ამოიღებს, გასწორდება, ფრთებს, ბუმბულსა და ქუდის სხვა სამშვენიესებს მიასწორ-მოასწორებს, მერე დასახურად თავთან მიიტანს და ასე დაშემდება ვიდრე ვილი ხმამაღლა კითხულობს.

ვილი - მისმა უწმინდესობამ მამაო კაროლუს შასპომ სული განუტევა... საკუთარ ვარცლში.

პაუზა.

ვინი - (ქუდით ხელში დარბაზისკენ ბრუნდება და გზნებით იხსენებს) შარლო! შარლო შასპო! (პაუზა). თვალებს დაეხუჭავ და - (სათვალეს მოიხსნის და თვალებს დახუჭავს, ცალ ხელში ქუდი უჭირავს, მეორეში სათვალე) - და კვლავ მის მუხლებზე აღმოვჩნდები იქ, ბარინეფში, სახლის უკან, პატარა ბაღში, თეთრი აკაციის ჩრდილში. (პაუზა, თვალებს გაახელს, სათვალეს გაიკეთებს, ქუდს ხელში შეათამაშებს) - ო, ზედნიერების ეს მშვენიერი დღეები! (პაუზა, ქუდს თავთან მიიტანს და ისევ შემდება, ვიდრე ვილი კითხულობს)

ვილი - ვეძებთ ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე კაცს.

პაუზა. ქუდის დახურვას აპირებს, მაგრამ შეჩერდება. სათვალეს მოიხსნის, დარბაზში იყურება, ცალ ხელში ქუდი უჭირავს, მეორეში სათვალე.

ვინი - ჩემი პირველი მეჯლისი! (პაუზა) ჩემი მეორე მაჯლისი. (პაუზა, თვალებს ხუჭავს) პირველი კონცა! (პაუზა, ვილი გაზეთს ფურცლავს. ვინი თვალებს ახელს) მასაჟისტი თუ პარაფსიქოლოგი დამულენი... თუ დიმულენი... ან იქნებ დემულენი. გაწკიპული, ცეცხლივით უღვაშებით. წითური იყო! (პაუზა) მებაღის ქოხში ვიყავით, მაგრამ ვისთან, მომკალით, არ მახსოვს. მებაღე არც ჩვენ გვყავდა, არც იმათ. (თვალებს ხუჭავს) ეხლაც თვალწინ მიდგას ყვავილებიანი ქოთნები (პაუზა) ხახვის კონები. (პაუზა) მაღალ, გოთურ თაღებში შეყუჟული ჩრდილები.

პაუზა.

თვალებს გაახელს. სათვალეს ცხვირზე წამოიცვამს. ქუდს თავთან მიიტანს, მაგრამ ვილის ხმა შეაჩერებს.

ვილი - მშვიდი და მზიანი ოროთახიანი ბინა.

პაუზა.

ვინი ქუდს დაიხურავს, სარკეს მოძებნის. ვილი გაზეთს გადაფურცლავს. ვინი სარკეს აიღებს, ჩაიხედავს, დადებს, ჩანთისკენ მიბრუნდება. ვილის გაზეთი ქრება. ვინი გამადიდებელ შუშას ამოიღებს, გასწორდება, კბილის ჯაგრისს ეძებს. გაზეთი კვლავ გამოჩნდება, ამჯერად დაკეცილი და ვილის სახეს უნიავებს ისე, რომ ხელები არ მოჩანს. ვინი ჯაგრისს აიღებს და ლუპით ცდილობს სახელურზე წარწერა წაიკითხოს.

ვინი - ასპროცენტთანად გარანტირებული (ვილი აღარ იწინავებს)... ნამდვილი, ბუნებრივი... (პაუზა, ვილი ისევ იწინავებს). ღორის... (ვილი აღარ იწინავებს) ღორის ჯაგარი. (პაუზა. ვინი ლუპასა და ჯაგრისს დადებს. გაზეთი ქრება. ვინი სათვალეს იხსნის, დადებს,

პირდაპირ დარბაზში იყურება) ღორის ჯაგრისი! (პაუზა) არა, მაინც რა მშვენიერია, ერთი დღეც არ გავა ისე, რომ (ღიმილი) – ძველი სტილი – (აღარ იღიმება) ჰოდა, ერთი დღეც არ გავა ისე, რომ რაიმე ფაქტმა, თუნდაც უმნიშვნელომ, გონებრივად არ გამამდიდროს, უფრო ზუსტად ფაქტი კი შეიძლება უმნიშვნელო იყოს, მაგრამ თუ მოინდომებ, მაინც გაგამდიდრებს. (გამოჩნდება ხელი საფოსტო ბარათით, რომელსაც ვილი, ალბათ, ყურადღებით აკვირდება) მაგრამ, თუ ერთ მშვენიერ დღეს რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო ვეღარ მოინდომებ, თვალები უნდა დახუჭო – (ხუჭავს) და დაელოდო იმ დღეს – (თვალეებს გაახელს) – როცა სხეული კონკრეტულ ტემპერატურაზე გადნობას დაიწყებს, მთვარიან ღამეს კი დასასრული აღარ ექნება. (პაუზა). ო, როგორ მამშვიდებს ამ ბედნიერი დღის მოლოდინი! თუ ძალ-ღონე გელევა და ჩვენს მიერვე გასრესილ მწერებსაც კი შური შევეყურებთ. (ვილის მიუბრუნდება) ეხლა უფრო მამშვიდებს, რადგან იმედია, ჩემი ნათქვამიდან არაფერი გამოგრჩა - (საფოსტო ბარათს შეამჩნევს, გადაიხრება, რომ უკეთ დაინახოს) ეს რა გაქვს, ვილი, ერთი მეც მაჩვენე. (ხელს გაუწვდის. ვილი ღია ბარათს გადასცემს. ვილის ხელი გაწვდილი რჩება, ვიდრე ვინი მას ბარათს არ დაუბრუნებს) ღმერთო! რას თამაშობენ? (სათვალეს მოძებნის, გაიკეთებს და ღია ბარათს ჩაამტერდება) კი მაგრამ ეს ხომ საძაგლობაა,?! (ბარათს დახედავს) პატიოსან ადამიანს გული აერევა (ბარათს დაჰყურებს. ვილი მოუთმენლად ათამაშებს თითებს. ვინი ლუპას მოძებნის და ბარათს დააკვირდება. გრძელი პაუზა) და ის... მესამე? უკან... ის რაღას უშვება? (თვალეებთან სულ ახლოს მიიტანს?) არა, შეუძლებელია! (ვილი კვლავ მოუთმენლად ათამაშებს თითებს. ვინი უკანასკნელად დახედავს ბარათს, მერე მარჯვენა ხელის ორ თითს წკიპად წაავლებს და განზე გაწევს, მეორე ხელის საჩვენებელსა და ცერა თითს ცხვირზე მოიჭერს, ზიზღით) ფუ-უჰ! (ბარათს გადაადგილებს) მომამორე აქედან! (ვილის ხელი გაქრება, მერე ხელახლა ბარათით გამოჩნდება. ვინი სათვალეს მოიხსნის, დადებს, პირდაპირ იყურება. ვილი ამ დროს ბარათის ცქერით ტკბება, ხან ახლოს მიიტანს, ხან გვერდიდან დაყურებს) ღორის ჯაგრისი. (დაბნეული გამომეტყველებით) მაინც რას ნიშნავს ზუსტად ღორი? (პაუზა) ნეზვი მახსოვს რა არის, ტახი მახსოვს, მაგრამ ღორი? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. ბოლოს მაინც გამახსენდება. (პაუზა) მაინც რა ბედნიერებაა, რომ საბოლოოდ ყველაფერი მახსენდება. (პაუზა) ყველაფერი? (პაუზა) არა, ყველაფერი არა (ღიმილი) თითქმის ყველაფერი. (პაუზა). ერთ მშვენიერ დღეს მეხსიერებაში ამოტივტივდება... არსაიდან... (პაუზა) სიშიშვლიდან (პაუზა) ო, რა ბედნიერებაა! (ჩანთას მიუბრუნდება, თითქოს რაღაცას ეძებს, მაგრამ შეჩერდება. ვილის ხელიც ქრება). არა (მოტრიალდება, ღიმილით) არა და არა! (ღიმილი გაქრება) ფრთხილად, ვინი... (პირდაპირ იყურება. ვილის ხელი კანოტიეს მოიხდის და გაქრება) მერე რაღა ვქნათ? (ხელი გამოჩნდება, ცხვირსახოცს მოიხსნის, გაქრება. ვინი გაბრაზებულია, თითქოს თავის თავს ტუქსავს) ვინი! (ვილის თავი ქრება) არის სხვა გამოსავალი? (პაუზა) სხვა გამოსა... –

ვილი გორაკის მიღმა ხმაურით იწმენდს ცხვირს. ვინი მისკენ მიბრუნდება. პაუზა.
გამოჩნდება ვილის თავი... მერე ხელი, რომელიც თავზე ცხვირსახოცს წაიფარებს და გაქრება.
პაუზა. ხელი გამოჩნდება, კანოტიეს თავზე მოირგებს და გაქრება.

პაუზა

ვინი - კი ბატონო, იძინე რამდენიც გინდა. (დარბაზისკენ მიბრუნდება. მექანიკურად წიწვნის ბალახს. მომდევნო სიტყვებს რომ მეტი დატვირთვა შესძინოს, თავს ზევით-ქვევით ამოდრავებს) კი, ბატონო, ოღონდ მე მარტოობა არ მიყვარს, ვერც იმას ვიტან, ჩემს ლაქლაქს რომ არავინ უსმენს. (პაუზა) არა, ვილი, ღმერთმა დამიფაროს, ილუზიებს არ ვიქმნი, ვიცი, რომ თითქმის არაფერი გესმის (პაუზა) არის დღეები, როცა საერთოს არაფერი გესმის (პაუზა) მაგრამ ხანდახან ხომ მპასუხობ. (პაუზა) ერთი სიტყვით, მე იმის თქმა მინდა, რომ მაშინაც კი, როცა არ

მპასუხობ და, ალბათ, არც გესმის, მე ვიცი, რომ რაღაც მაინც გესმის და მე სიცარიელეს არ ველაპარაკები. ვერ ავიტანდი ტყუილუბრალო ყბედობას (პაუზა) აი რა მაძლევს ძალას, უფრო ზუსტად ლაპარაკის ძალას. შენ რომ გარდაცვლილიყავი (ლიმილი) – ისევ ძველი სტილი! – (ლიმილი ქრება) – ან მიგეტოვებინე და სხვასთან წასულიყავი, მე რა მეშველებოდა, რას გავაკეთებდი მთელი დღე, ზარიდან ზარამდე, უფრო ზუსტად, დილიდან საღამომდე, გაღვიძებიდან დაძინებამდე? (პაუზა) ტუჩებმოკუმული ერთ წერტილს მივაშტერდებოდი? (ასეც აკეთებს. პაუზა. ბალახის წიწვნას თავს ანებებს). ბოლო ამოსუნთქვამდე სიტყვაც არ დამცდებოდა, აქაურ სიჩუმეს არ დავარღვევდი (პაუზა). ხანდახან სარკეში თუ ჩავიხედავდი... მწარე ოხვრით. (პაუზა) ან... ჩავიცინებდი თუ, რა თქმა უნდა, რამე გამაცინებდა (პაუზა. იღიმება, ლიმილი თითქოს ხარხარში უნდა გადაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელად მას შემფოთება შეცვლის) ჩემი თმა! (პაუზა) ნუთუ დავარცხნა დამავიწყდა? (პაუზა) არა, ალბათ, დავივარცხნე. (პაუზა) არ მავიწყდება ხოლმე. (პაუზა) ან როგორ უნდა დამავიწყდეს, ისედაც ცოტა რამის გაკეთება შეგვიძლია. (პაუზა) ამიტომაც ვცდილობთ გავაკეთოდ ყველაფერი, რაც (პაუზა) – რაც შეგვიძლია. (პაუზა) ასეთია ადამიანი. (გორაკს ათვალიერებს. თავს აწევს) ასეთია მისი ბუნება. (გორაკს ათვალიერებს. თავს აწევს) მისი ბუნებრივი ადამიანური სისუსტე. (გორაკს ათვალიერებს) სავარცხელი არ ჩანს (ეძებს) არც თმის ჯაგრისი. (დაბნეული გამომეტყველებით ჩანთაში იქექება) სავარცხელი აქ ყოფილა (ისევ ეძებს) ჯაგრისიც, (დარბაზს უყურებს, შეწუხებული) ალბათ, უკვე ვიხმარე და ჩავდე (პაუზა) მაგრამ როგორც წესი, ჩემს ნივთებს ხმარების შემდეგ ჩანთაში აღარ ვდებ. მივყრი-მოვყრი ხოლმე და დღის ბოლოს ვალაგებ, ერთად (ლიმილი) - ძველი სტილი – (ლიმილი წაემლება) თუმცა ეხლა... თითქოს... (უდარდელად) რა ვქნა... რა მნიშვნელობა აქვს, სულ ამას არ ვეუბნები ჩემს თავს, რა მნიშვნელობა აქვს. თმას მოგვიანებით დავივარცხნი. მორჩა და გათავდა, არსადაც არ მეჩქარება. ეს დრო უფალსა და მე გვეკუთვნის. (პაუზა) უფალსა და მე... (პაუზა) უცნაური გამოთქმაა (პაუზა) ნეტავ, თუ ამბობენ ასე? (ვილისკენ მიბრუნდება) ვილი, შეიძლება ვთქვა რომ დრო უფალსა და მე გვეკუთვნის? (პაუზა. უფრო ხმამაღლა) ვილი, შენ იტყობდი, რომ დრო უფალსა და შენ გვეკუთვნის?

გრძელი პაუზა.

ვილი – დაიძინე.

ვინი – (მხიარულად) ო, დღეს დამელაპარაკება. ო, ეს რა ბედნიერი დღე მეღის! (პაუზა. დარდიანად) კიდევ ერთი დღე. (პაუზა) ძალიანაც კარგი. ესე იგი რაზე შევჩერდი? ჰო, თმას მოგვიანებით მივხედავ. (პაუზა) დავიხურე – (ხელებს თავთან მიიტანს) – ჰო, დავიხურე ჩემი ქუდი – (ხელებს დაუშვებს) – და ეხლა ვეღარ ვიხდი. (პაუზა) – ასეც ხდება ხოლმე, დაიხურავ და მერე ვეღარ იხდი (პაუზა) არა და რამდენჯერ მითქვამს, ვინი, ნუ ხარ ცუდი გოგო, დაიხურე ქუდი, ასე ჯობია. მერე ვამბობდი, ვინი, ნუ ჯიუტობ, მოიხადე ქუდი, მაგრამ ვეღარ ვიხდიდი. (პაუზა) აღარ შემეძლო. (ხელს აწევს, თმის კულულის გამოათავისუფლებს, თვალით მიიტანს, უყურებს, ხელს გაუშვებს). ოქროსიაო, მითხარი იმ დღეს, როცა ყველა წავიდა და მარტონი დავრჩით. (ხელს აწევს თოთქოს სადღეგრძელოს წარმოთქვამსო) – შენს ოქროსფერ თმებს გაუმარჯოსო... არასდროს არ... (ხმა ჩაუწყდება)... არასდროს არ (ხელს დაუშვებს, თავს დახრის. პაუზა. ჩუმად) ის დღე! (პაუზა. ჩუმად) რომელი დღე? (პაუზა. თავს აწევს. ნორმალური ხმით) რა შემრჩა? (პაუზა) სიტყვები მეკარგება. დგება დრო, როცა სიტყვებიც კი გაგირბიან (ვილისკენ მიბრუნდება) ასე არ არის, ვილი? (პაუზა. მიბრუნდება და ხმამაღლა) ხომ მართალი ვარ, ვილი, ხანდახან სიტყვებიც კი სადღაც გარბიან, არა? (პაუზა. გასწორდება) ჰა, ვილი, რა ვიღონოთ, სიტყვები რომ დავიბრუნოთ? თუ არ დაგვივარცხნია თმა დავივარცხნოთ, თუ რამე დაგვავიწყდა, ფრჩხილებს მივხედოთ? ასე, ასე და ამასობაში სიტყვაც მოიძებნება. (პაუზა) აი,

რისი თქმა მინდოდა. (პაუზა). არაჩვეულებრივია, ერთი დღეც არ გავა – (იღიმება) – ძველი სტილი – (ლიბლი ქრება) ერთი დღეც არ გავა, რომ რაღაც უბედურებამ – (გორაკს მიღმა ვილი ხმაურით ეცემა, მისი თავი ქრება. ვინი მიბრუნდება) – სიკეთე არ მოიტანოს. (მაქსიმალურად გადაიხრება) ეხლავე, შეძვერი შენს სოროში, ვილი, გეყო მზეზე გამოცხოვა. (პაუზა) გააკეთე, რასაც გეუბნები, ვილი, რას წამოგორდი ამ თავარა მზეზე, შედი შენს სოროში (პაუზა) რას ვამბობ, ვილი არ გესმის? (ვილი თავის სამყოფელისკენ მიხობავს) აი, ასე! (თვალს ადევნებს მის მოძრაობას) ჯერ ფეხები, სულელო, და მერე თავი, თორემ ვეღარ მოტრიალდები. (პაუზა) აი ასე... ცოტა კიდევ... წინ, წინ... ეხლა უკან. (პაუზა) ო. ვიცი, ვიცი, საყვარელო, უკან-უკან ჩოჩვა ძნელია, მაგრამ შედეგი კარგი იქნება.

შენი მალამო! (ცოცვით მობრუნდება). სახურავი არ დაგავიწყდეს (ვილი ყველაფერს გამოართმევს და ცოცვით უკან მობრუნდება. ვინი თვალს არ ამორებს. გაბრაზებული) აკი გითხარი, ჯერ ფეხები და მერე თავი. (პაუზა) უფრო მარჯვნივ. (პაუზა) აღარ იცი სად არის მარჯვენა? (პაუზა. გაბრაზებული) ღმერთო ჩემო! საჯდომი დაბლა დაწიე, დაბლა! (პაუზა) ეს ერთი! (პაუზა) ჰოპლა! აი ასე! (შორისდებულებს ხმამაღლა წარმოთქვამს, მერე ჩვეულებრივი ხმით შეეკითხება) გესმის მანდ ჩემი? (პაუზა) ვილი, გემუდარები, მიპასუხე, გესმის ჩემი? ჰო ან არა, ვილი, სხვა არაფერი, ჰო ან არა?

პაუზა

ვილი - (გაბუტული) ჰო

ვინი - (გასწორდება) ეხლა, გესმის?

ვილი - (გაბრაზებული) ჰო.

ვინი - (ხმადაბლა) ეხლა?

ვილი - (უფრო გაბრაზებული) ჰო.

ვინი - (უფრო ჩუმად) ეხლა? (პაუზა. უფრო ხმამაღლა) ეხლა?

ვილი - (უხეშად) ჰო!

ვინი - (იმავე ხმით) დაე, იტირონ, ღმერთო ძლიერო, დაე, სირცხვილით შეკრთენ. (პაუზა) გაიგე?

ვილი - (ბრაზმორეული) ჰო.

ვინი - (იმავე ხმით) რა? რა გაიგე?

ვილი - (ბრაზმორეული) შეკრთენ.

პაუზა

ვინი - (იმავე ხმით) რის გამო შეკრთენ, ვილი?

ვილი - (უხეშად) შეკრთენ.

ვინი - (ნორმალური ხმით, სულმოუთქმელად) ღმერთი იყოს შენი მფარველი ვილი¹ ძალიან კეთილი ხარ, ვიცი რად გიღირდა ეს ძალისხმევა. ეხლა დაისვენე მოეშვი მეტს აღარ შეგაწუხებ თუ რა თქმა უნდა განსაცდელს თვითონ ვერ მოვერევი თუმცა რას ვამბობ მე ყველაფერს

¹ შეძლებისდაგვარად, ყველგან შენარჩუნებულია ბეკეტის განსაკუთრებული სასვენი ნიშნები. "ინტონაციური პუნქტუაცია" ცალკე მსჯელობის საგნად შეიძლება იქცეს. (მთ. შენიშვნა)

გავუძღვებ მთავარია ვიცი – რომც არ გესმოდეს მაინც გესმის და აქვე ხარ გვერდით დარაჯად; ახა ისეთი რა უნდა წამოვაცრანტალო რომ შეგაწუხო ისიც კი არ ვიცი დანამდვილებით გესმის თუ არა მე კი გულს მოვიოხებ ლაპარაკით ჭიას რომელიც მღრღნის გავახარებ. (პაუზა. სულს მოითქვამს). ეჭვები! (ცერა და შუათითოს მკერდზე მიიდებს, გულისცემას მოძებნის, მოუსმენს) აჟ. (ხელს გადაწევს) ირგვლივ. (გულიდან თითებს მოიშორებს) და, უეჭველად, ის დროც დადგება, როცა ხმასაც ვერ ამოვიღებ, რადგან არ მეცოდინება, გაიგე თუ არა ის, რაც მანამდე გითხარი, მერე მარტო ლაპარაკსაც ვისწავლი. რომ იცოდე, როგორ ვერ ვიტან, სულ უდაბნოში მგონია თავი, მაგრამ ვისწავლი (პაუზა) მერე... სიტყვაგამშრალი და ტუჩებმოკუმული პირდაპირ ყურებას დავიწყებ. აი ასე ვიქნები – (ტუჩებს მოკუმავს) – მთელი დღე. (პაუზა) არა, არ მინდა (ღიმილი) ვერ მოგართვით! (ღიმილი წაეშლება) ჩანთა ხომ მაინც მექნება (მიბრუნდება ჩანთისკენ) ეხლაც მაქვს და მექნება... ალბათ. (პაუზა) შენ, რომ გვერდით აღარ მეყოლები, ვილი, ჩანთა მაინც ხომ შემრჩება (პაუზა) შენ, ალბათ, მალე წახვალ არა, ვილი? (პაუზა. ვინი გადაიხრება და ვილის დასანახად მარჯვენისკენ იხედება). ქუდი მოიხადე? კარგად მოგიფიქრებია. (პაუზა) მხედავ მანდედან? სულ ამას ვფიქრობ, სულ! (პაუზა) ვერ მხედავ? (სახით დარბაზისკენ) ო, მე ვიცი, ვიცი, თუ ორი ადამიანი ერთად არის (ხმა გაეზარა) – ისე როგორც ჩვენ ვართ – (ნორმალური ხმით) – ერთი მეორეს მხოლოდ მაშინ ხედავს, როცა მეორეც ხედავს მას, ცხოვრებამ ესეც... მასწავლა (პაუზა) ახა... და იცი რას ვფიქრობ? ცხოვრებას სინონიმი არ გააჩნია. (ოდნავ მიბრუნდება ვილისკენ). რომ შემოგეხედა, დამინახავდი მანდედან, ვილი? მითხარი დამინახავდი? ამომხედე რა, გთხოვ, ვილი, თავს ძალა დაატანე, ამომხედე და მითხარი მხედავ თუ არა. მე სულ, სულ ახლოს მოვიწევი (უკან გადაიხრება. პაუზა) ვერ შეძლებ? (პაუზა) ჩემი ხათრითაც ვერ შეძლებ? (პაუზა) კარგი, არა უშავს. (ძლივს გასწორდება). ეს მიწაც როგორ სარტყელივით შემომეკრა, გავსუქდი, თუ რაშია საქმე? (პაუზა. დახრილი თვალებით) ალბათ, სიცხის ბრალია. (მიწას მსუბუქად ხელს ურტყამს და ეფერება) ყველაფერი ფართოვდება (ისევ მიწას ეთამაშება) რაღაც მეტად, (ისევ ურტყამს და ეფერება) რაღაც ნაკლებად. (ისევ ეფერება) ოჰ, წარმომიდგენია ეხლა რას ფიქრობ, ამ ქალმა ლაპარაკით ხომ მომიღო ბოლო, მაგრამ აქამდე მოსმენა ყოფნიდა, ეხლა კი შეხედვაც მომინდომიაო. (პაუზა. იგივე მოძრაობები) ნეტავ, რას გთხოვ... იმაზე მეტს, რაც შეიძლება ახლობელს სთხოვო (ხმა გაეზარება) არც არაფერს... ამაზე ნაკლების მოთხოვნა შეუძლებელია... თუმცა... თუ ჩაუფიქრებდი... გულში თუ ჩაიხედავ... მიხვდები რომ შენს ახლობელს... თავი უნდა დაანებო... მას სიმშვიდე უფრო სჭირდება, ვიდრე შენი ლაქლაქი... შენ კი ამ ხნის განმავლობაში თურმე მთვარეს... ციდან მთვარის ჩამოხსნას იხვეწებოდი. (პაუზა. ხელი, რომელიც მიწას ეფერებოდა, გაუშემდა. მკვირცხლად) შეხე! ამას რას ხედავს ჩემი თვალები? (მიწისკენ თავს დახრის, უნდობლად) ცოცხალი არსება! (სათვალეს მოძებნის, გაიკეთებს, ყურადღებით დააკვირდება. პაუზა) ჭიანჭველა! (გასწორდება. წვრილი ხმით) ვილი, ჭიანჭველა, ცოცხალი ჭიანჭველა. (ლუპას მოიმარჯვებს, დააკვირდება) გაიქცა! (პაუზა) არა, გამოჩნდა, გამოჩნდა! (ლუპით მიყვება ჭიანჭველას მოძრაობას) რაღაც პაწაწინა თეთრ ბურთულას მიათრევს (ჭიანჭველას მოძრაობას მიყვება, შეჩერდება) მიწაში ჩაძვრა. (ერთხანს ისევ ათვალეერებს იმ ადგილს, სადაც ჭიანჭველა გაუჩინარდა, მერე ნელ-ნელა გასწორდება, ლუპას დადებს, სათვალეს მოიხსნის. სათვალით ხელში. ხმადაბლა) რაღაც პაწაწინა თეთრი ბურთულა ქონდა.

პაუზა. სათვალის დასადებად მოემზადება.

ვილი - კვერცხი

ვინი - (სათვალით ხელში გაშემდა) ბატონო?

პაუზა.

ვილი - კვერცხი. (პაუზა. ვინი სათვალის დადებას აპირებს) კვერცხისთვის ფაციფუცობს.

ვინი - (ისევ გაშეშდება) ბატონო, ბატონო?

ვილი - (პაუზა) ფაციფუცობს.

პაუზა.

ვინი როგორც იქნა სათვალეს დადებს და, პირდაპირ დარბაზს დაუწყებს ყურებას.

ვინი - (ჩურჩულით) ღმერთო ჩემო!

პაუზა.

ვილი ჩუმად ხითხითებს.

პაუზა.

ვინიც ახითხითდება. ორივე ერთად იცინის. ვილი ჩერდება. ვინი სიცილს აგრძელებს. პაუზა. ვილი მას უერთდება. ისევ ერთად იცინიან. ვინი ჩერდება. ვილი მარტო იცინის. პაუზა.

ვილი ჩერდება.

პაუზა.

ვინი – (ჩვეულებრივად) რა ბედნიერებაა ვილი, რომ ისევ იცინი. არ მეგონა, თუ ოდესმე კიდევ მოვესწრებოდი შენს გაცინებას. ალბათ, არც შენ გეგონა. ისე, ეს ჩვენი უაზრო სიცილი ვიღაცას მკრეხელობად შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთს უნდა უხაროდეს, რომ ჩვენ მის მიერვე შექმნილ პატარ-პატარა უხამს სისულელეებზე ვიცინით... მასთან ერთად (პაუზა) მეთანხმები, ვილი? (პაუზა) თუ ჩვენ სხვადასხვა რამეზე გაგვეცინა? (პაუზა) თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, სულ ასე არ ვამბობდი ვიდრე... გახსოვს ის მშვენიერი ლექსი... ტა-ტა-ტა... იკმარე, ბედო ბედკრულო, ისედაც ბევრი დამცინე. (პაუზა) სხვა რა დაგვრჩენია? (პაუზა). შენ ერთი ეს მითხარი, ვილი, იყო კი დრო, როცა ვინმეს მოხიბვლა, ვინმეს ცდუნება შემეძლო? (პაუზა) იყო დრო, როცა ვინმეს მოვწონდი? (პაუზა) არ შეგეშალოს. ვილი, მე არ გეკითხები შენ მოგწონდი თუ რა, ეს საკითხი ჩვენ დიდი ხანია გავარკვით, მე მაინტერესებს, შემეძლო თუ არა რაღაც მომენტში ვინმეს ცდუნება, რას ფიქრობ, ვილი, მითხარი. (პაუზა) არ შეგიძლია? (პაუზა) გეთანხმები. დაგღალა ჩემმა ლაქლაქმა. დღეს საკმარისად დაიხარჯე, ეხლა მოეშვი, დაისვენე, თუ ძალიან არ გამიჭირდა, აღარ შეგაწუხებ, ჩემთვის მთავარია ვიცოდე, რომ აქა ხარ, გვერდით და ვინ იცის, იქნებ იმისთვისაც მზადა ხარ რომ... ო-ო, გაფიქრებაც კი ნეტარების მწვერვალია ჩემთვის! (პაუზა) დღე უკვე ილევა, დღე თვალს ხუჭავს (ღიმილი) ისევ ძველი სტილი! (ღიმილი ქრება) თუმცა სიმღერისთვის მაინც ცოტა ნაადრევია. ვის გაუგია ნაშუადღევს სიმღერა, ნაადრევად ამღერება დიდი შეცდომაა. (ჩანთისკენ მიბრუნდება) აგერ ჩანთა მაქვს ბოლოს და ბოლოს. (უყურებს ჩანთას) ჩემი ჩანთა. (გასწორდება) ნეტავ, შიგთავსის ჩამოთვლას თუ შევძლებ? (პაუზა) არა! (პაუზა) ვინმემ, შემთხვევით რომ გაიაროს და მკითხოს: ვინი, რა გიდევეს ამ დიდ შავ ჩანთაშიო, გავცემ ამომწურავ პასუხს? (პაუზა) ვერა! (პაუზა). წარმოდგენა არა მაქვს რა განძეული მიდევს, განსაკუთრებით სიღრმეში (პაუზა) ჩანთა მაინც დიდი ნუგეშია (მიბრუნდება) დიახ, ჩანთა მაქვს (გასწორდება) ისე, სულ ვეუბნები ჩემს თავს, ნუ აჭარბებ ამ შენი ჩანთით, ვინი! მოიხმარე, რა თქმა უნდა, გამოიყენე, როცა ჩიხში მოექცევი, იმოდრავე მასთან ერთად, მაგრამ ფრთხილად იყავი, ვინი, წინდახედულად მოიქეცი, არ დაგავიწყდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სიტყვებსაც ვეღარ მოძებნი, მიგატოვებენ – (თვალეებს დახუჭავს,

პაუზა, მერე გაახელს) – ჰოდა, ამიტომ ნუ აჭარბებ ამ შენი ჩანთით! (ჩანთისკენ მიბრუნდება). იქნებ მაინც ჩავყვინთო? ვითომ რა მოხდება, რომ ერთი წამით... (გასწორდება, თვალებს დახუჭავს. მარცხენა ხელს გაშლის, ჩანთაში ჩაყოფს და რევოლვერს ამოიღებს. ამრეზილი). შენლა მაკლდი! (თვალებს გაახელს, რევოლვერს დააცქერდება) ბრაუნი, შე ძველო! (ხელისგულზე დაიდებს და თითქოს აწონ-დაწონის) ნუთუ ისე არ დამძიმდი, რომ ჩანთის ფსკერზე ჩაიძირო ამ... გადარჩენილ ვაზნებთან ერთად? ვერ მოგართვეს! სულ ხელში მეჩრები. (პაუზა) ბრაუნი... (ვილისკენ მიბრუნდება) გახსოვს ბრაუნი, ვილი? (პაუზა) გახსოვს, როგორ მიწყალებდი გულს მომაშორეო, გადამალე, ვინი, მომაშორე, თორემ ავდგები და ბოლოს მოვუღებ ჩემს ტანჯვასო. (გასწორდება. დაცივით) შენი ტანჯვა! (რევოლვერს მიმართავს) ო, რა თქმა უნდა დიდი ნუგეშია ჩემთან რომ ხარ, მაგრამ თავი მომაბეზრე. ამიტომაც, მე შენ გაგადებ, აი რას ვიზამ, მე შენ გარეთ გაგაბრძანებ. (რევოლვერს გორაკზე მარჯვენა მხარეს შემოდებს) დღეიდან აქ იცხოვრებ. (ღიმილი) ძველი სტილი! (ღიმილი ქრება. პაუზა) ეხლა რა გავაკეთო?

(გრძელი პაუზა) მიზიდულობა, ვილი, მგონი აღარ არსებობს, ან სახე იცვალა. შენ რა აზრის ხარ? (პაუზა) სულ უფრო და უფრო მეჩვენება, რომ... იცი, ვილი, ასე მიჯაჭვული რომ არ ვიყო – (ჟესტი) – ცაში ავფრინდებოდი (პაუზა) ერთ დღეს დედამიწა, ალბათ, თავს დამანებებს, გადაიხსნება, ირგვლივ ყველაფერს მილეწ-მოლეწავს და მე გამათავისუფლებას (პაუზა) არასდროს გქონია შეგრძნება, ვილი, რომ გამოგწუწუნეს, აგამჩატეს და გასაფრენად გაგამზადეს (პაუზა) არ გქონია სურვილი ხანდახან რამეს ჩაეჭიდო? (ოდავ მიბრუნდება მისკენ) ვილი.

პაუზა

ვილი - გასაფრენად?

ვინი - ჰო, ფისო, ზევით, სილაჟვარდემში, როგორც ბუმბული (პაუზა) არა? (პაუზა) არასდროს? (პაუზა) რას იზამ ბუნების კანონი ბუნების კანონია, დანარჩენი უკვე ადამიანზეა დამოკიდებული. ისე კი უნდა ვალიარო, რომ ჩემთვის ეს კანონები დღეს უფრო სხვანაირია, ვიდრე მაშინ როცა ვიყავი... ახალგაზრდა, გიჟმაჟი – (ხმა გაეზარება, თავს ჩალუნავს) – კარგი შესახედი და მშვენიერი. (პაუზა. თავს აწევს) მაპატიე ვილი, ხანდახან დარდი შემომაწვება (ნორმალური ხმით) მაინც რა სიხარულია, რომ შენ აქა ხარ, შენს პოსტზე, ხან ფხიზლობ, ხან იძინებ, ხან მისმენ, ხან არა... კიდევ ერთი ბედნიერი დღე... იქნებოდა ჩემთვის, რომ... (პაუზა) მაგრამ როდემდე გავძლებ? (პაუზა) კიდევ კარგი, რომ ამ მიწაზე არაფერი იზრდება. წარმოგიდგენია, ვილი, მთელი ეს ნაგავი ერთ მშვენიერ დღეს რომ აყვავდეს და ფესვი გაიდგას. (პაუზა) წარმოგიდგენია? (პაუზა) რა ბედნიერებაა, რომ არაფერი არ იზრდება. (გრძელი პაუზა) ლაპარაკი აღარ შემიძლია (პაუზა) ეხლა, ყოველ შემთხვევაში (ჩანთისკენ მიბრუნდება. პაუზა. გასწორდება. ღიმილი) არა-არა. (ღიმილი ქრება. ქოლგას უყურებს.) მე ხომ შემიძლია... (ქოლგას აიღებს) დიახ, ნამდვილად შემიძლია გავშალო ეს მექანიზმი. (იწყებს ქოლგის გაშლას. ამ პროცესში მას ბევრი "ტექნიკური" სირთულის გადალახვა მოუწევს. მომდევნო რეპლიკები სწორედ ქოლგის გახსნის რიტმით არის სინკოპირებული) თავს იკავებ – აგვიანებ – გაშლა – გეშინია – ადრე არ მომივიდესო – და დღეც ასე გადის – ხანდახან – არც გაშლი – საერთოდ. (ქოლგა გაშლილია. ვინი ოდნავ მარჯვნივ მიტრიალდება და ქოლგას აქეთ-იქით უაზროდ ატრიალებს.) აბა, აბა სათქმელი ცოტაა, საქმეც ცოტაა, შიში ბოლოში გასვლის შიში დი-იდია! დრო კი მიდის ზარის მოლოდინში, და ვერც ვერაფერს ამბობ, ვერც ვერაფერს აკეთებ, დრო მაინც გადის, დღე მაინც ილევა ძილის მომასწავებელი ზარის მოლოდინში, ზარიც დაირეკება, მაგრამ... თითქმის არაფერია ნათქვამი, თითქმის არაფერია გაკეთებული... (ქოლგას აწვს) და ეს სახიფათოა! ძალიან! (დარბაზს მიუბრუნდება) ჰოდა, ფრთხილად უნდა ვიყოთ. (პირდაპირ იყურება, ზემოთ აწეული ქოლგა მარჯვენა ხელში უჭირავს, პაუზა.) ოფლიანობა ვიცოდი,

ადრე! (პაუზა) ეხლა თითქმის არ ვოფლიანობ (პაუზა) სიცხემ იმატა – (პაუზა) – ოფლიანობამ იკლო (პაუზა) და ეს ბედნიერებაა. (პაუზა) ადამიანი ეჩვევა - (პაუზა) – ყოველგვარ ცვლილებებს. (ქოლგას მარცხენა ხელში გადაიტანს. პაუზა.) ხელაწეული ყოფნა Mძლის (პაუზა) სიარულის დროს კი არა... (პაუზა) როცა უმოძრაოდ ვარ. (პაუზა) რა საინტერესო დაკვირვებაა! (პაუზა) გული არ დამწყვიტო, ჩემი შენიშვნა უყურადღებოდ არ დატოვო. (ქოლგას ორივე ხელს მოკიდებს. პაუზა) დავიღალე ჰაერში აშვერილი ქოლგის ფრიალით, არა და ვერც ვდებ. (პაუზა) გონება მკარნახობს, დაუშვი ქოლგა, ვინი, ხომ ხედავ არ გიშველა, დაუშვი და სხვა რამეს მოკიდე ხელი (პაუზა) არ შემიძლია! (პაუზა) რაღაც ხომ უნდა მოხდეს ამ ქვეყანაზე, რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ძალა მაინც არ მეყოფა. (პაუზა) ვილი! (წვრილი ხმით) მიშველე! (პაუზა) მიბრძანე, რომ დავდო ქოლგა, ვილი, შენს ბრძანებას უყოყმანოდ შევასრულებ, როგორც ყოველთვის (პაუზა) ძალიან გთხოვ, ვილი, შემიბრალე. (პაუზა) არ შეგიძლია? (პაუზა) რას იზამ, წისქვილი კი ტრიალებს და ფქვავს (პაუზა) მშვენიერია ეს ჩემი ორი შუქურა. ერთს მოაკლდება შუქი, მეორე უფრო ძლიერად მინათებს (პაუზა) აბა, დიდი სიკეთეა, დიდი წყალობაა!

ამასობაში ქოლგას ცეცხლი ეკიდება. ვინი სუნს იკრავს, ქოლგას შეშინებული ახედავს და გორაკის მიღმა გადააგდებს. მერე უკან გადაიხრება და უყურებს, როგორ იწვის.

ვინი - ო, დედამიწა, ძველო მეხანძრე! ნახე როგორ ჩააქრო? (პაუზა) ასეთი რამ თითქოს ადრეც მინახავს, მაგრამ აღარ მახსოვს სად (პაუზა) შენ გახსოვს, ვილი? (მიბრუნდება) გვინახავს ასეთი რამ? (გადაიწევა ვილი, რომ დაინახოს) გაიგე მაინც რა მოხდა, ვილი? ვილი? (პაუზა) რა იყო, გაითიშე, თუ კომაში ხარ? (პაუზა) მე ხომ არ გეკითხები გრძნობ თუ არა ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება, მე მხოლოდ ის მაინტერესებს, საბოლოოდ გაითიშე თუ არა (პაუზა) თვალები თითქოს დახუჭული გაქვს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს არაფერს ნიშნავს (პაუზა) ხელი მაინც აწიე, ჩემო საყვარელო, მაჩვენე, რომ უგონოდ არა ხარ. (პაუზა) ჩემი ხათრით, ვილი, ძვირფასო, ნუთუ ასეთი უსულგულო ხარ, ნეკა თითი მაინც გაატოკე. (პაუზა. მხიარულად) ო, ხუთივე თითი მაჩვენა, დღეს ანგელოზივით იქცევი, ძვირფასო, გულზე მომეშვა, ეხლა უკვე შემიძლია გავაგრძელო. (დარბაზისკენ მობრუნდება) ჰოდა, რა უნდა გვენახა ისეთი, რაც ადრე არ გვინახია და მაინც... რაღაც ვერ ვისვენებ (პაუზა) თუმცა ამ პაპანაქებაში, ამ ნაღვერდალზე, რომელიც უფრო და უფრო უღმობელი ხდება, ბუნებრივი არ არის, რომ ნივთებს ცეცხლი თავისთავად და უმიზეზოდ ეკიდება? (პაუზა) მეც რომ ასევე, გამადნოს ან დამწვას ამ მზემ? ო, იმის თქმა კი არ მინდა, რომ აუცილებლად ცეცხლმა უნდა დამწვას, არა! მაგრამ ხომ შეიძლება ნელ-ნელა ამომბუგოს და შავ ნაკვერჩხლად აქციოს მთელი ეს - (ხელებს გაშლის) – არემარე (პაუზა) მეორეს მხრივ, იცი, რა მაფიქრებს ვილი, ნეტავ ცხოვრებაში, საერთოდ, თუ მქონია მშვიდი პერიოდები? (პაუზა) არა. თანაც სიმშვიდე, ზომიერება, ცეცხლი მხოლოდ სიტყვებია, ცარიელი სიტყვები. (პაუზა). სინამდვილეში მე იმ დროს მივტირი, როცა ასე გაქვავებული არ ვიყავი, მქონდა ფეხები და შემემლო მოძრაობა, და თუ მზე დამღლიდა შენსავით ჩრდილს ამოვეფარებოდი, თუ ჩრდილში შემცივდებოდა, შენსავით მზეს მივეფიცებოდი. (პაუზა) იტყვი, არ იტყვი, რა მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი ცარიელი სიტყვებია, ჰაერში ნასროლი. (პაუზა) დღეს გუშინდელზე მეტად არ ცხელა, ხვალ დღევანდელზე მეტად არ დაცხება ჰოდა, იქნება ასე უსასრულობამდე, გრძნობის დაკარგვამდე, წარსულისა და მომავლის მიკარგვა-დავიწყებამდე. (პაუზა) აი ხვალ მიწა, რომ აიწიოს და ყელამდე დამფაროს არ ვინანებ, იმიტომ, რომ მე არამც თუ ვერ ვნახავ, მე არც არასდროს მინახია ჩემი მკერდი და არც არავის არასდროს უნახია იგი. (პაუზა) იმეღია, გაიგე რაც ეხლა ვთქვი, ვილი, ძალიან მეწყინება თუ გამოტოვე და ვერ გაიგე, ყოველთვის კი ვერ ვახერხებ ასე აზროვნებას. (პაუზა). დიახ, მეჩვენება, რომ რაღაც მოხდა, რაღაც უნდა მოხდეს, სინამდვილეში კი არაფერი არ ხდება, შენ მართალი ხარ, ვილი, არაფერი. (პაუზა) ჩემი ძვირფასი ქოლგა ხვალ ისევ აქ იქნება, ამ გორაკზე, ჩემს გვერდით და

კიდევ ერთი დღის გათრევაში მომეხმარება. (სარკეს აიღებს). ავიღებ ამ პატარა სარკეს, ქვას დავახეთქებ, დავამსხვრევ – (ასეც აკეთებს) – და მოვისვრი – (გადააგდებს) – ის კი ხვალ მაინც აქ გაჩნდება, ჩანთაში, ნაკაწრის გარეშე და კიდევ ერთი დღის გათრევაში დამეხმარება (პაუზა). ვერაფერს ვერ შევცვლი, ვერაფერს გავხვდები (პაუზა) და მშვენიერია, რომ ნივთები... (ხმა ჩაუწყდება, თავს ჩაქინდრავს) რომ საოცარი ნივთები მაქვს.

გრძელი პაუზა.

თავი დახრილი აქვს. მერე ასევე, თავდახრილი ჩანთას მიუბრუნდება, გაურკვეველ ხარახურას ამოყრის, ისევ ჩანთაში ჩადვრება, მუსიკალურ ზარდახმას ამოიღებს, დაქოქავს, ჩართავს, ორივე ხელს მოკიდებს და ისევ თავდახრილი უსმენს მუსიკას. ნელა გასწორდება, ზარდახმას მკერდთან მიიტანს და მუსიკით ტკბება. ისმის ვალსი ოპერიდან "მხიარული ქვრივი". სახეზე ბედნიერი ღიმილი დაეფინება. სხეული მუსიკის რიტმზე მოძრაობს. უცებ მუსიკა წყდება. პაუზა. ვილი უსიტყვოდ, ჩახლუჩილი ხმით იმეორებს იგივე მელოდიას. ვინი ბედნიერია. ვილი ჩერდება. ვინი ზარდახმას დადებს.

ვინი - ო, რა ბედნიერი დღე შეიძლება ყოფილიყო! (ტაშს უკრავს) ბის, ვილი, ძალიან გთხოვ, ბის! (პაუზა. ბედნიერი გამომეტყველება ქრება) არ გინდა? იქნებ, ჩემი ხათრით კიდევ იმღერო? (პაუზა). მესმის შენი, ძალიან კარგად მესმის. როგორ შეიძლება იმღერო მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას ასიამოვნო, მერე რა რომ ის ვიღაცა შენთვის ძვირფასი და ახლობელია. არა, სიმღერა გულიდან მოედინება, სულ იმას ვამბობდი, სიმღერა ნაკადულივით უნდა რაკრაკებდეს, სიმღერა შაშვი უნდა იყოს მგალობელი. (პაუზა) უხასიათოდ, რომ ვიყავი ხშირად ვეუბნებოდი ჩემს თავს: ვინი, იმღერე შენი სიმღერა, ისღა დაგრჩენია იმღერო, ვინი! მაგრამ ვერ ვმღეროდი. (პაუზა) არ შემეძლო. (პაუზა) არც შაშვივით უდარდელად მიმღერია, არც ტოროლასავით უმისამართოდ, არც ჩემთვის, არც შენთვის და არც სხვისთვის. არ შემეძლო. (პაუზა) ეხლა რაღა გავაკეთო? (პაუზა. ჩუმად) რა უცნაური შეგრძნებაა. (პაუზა. უფრო ჩუმად). ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ვიღაც მიყურებს. ჯერ კარგად, მკაფიოდ მხედავს, მერე ბუნდოვნად, მერე კარგად და ისევ ბუნდოვნად, მერე ისევ კარგად და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ, თითქოს ვიღაცის თვალში მივდი-მოვდივარ, ვჩნდები და ვქრები... უცნაურია, არა? (პაუზა. ისევ ჩუმად) თუმცა აქ ყველაფერი უცნაურია. (პაუზა. ნორმალური ხმით) რაღაც ჩამჩურჩულებს, გეყო ლაყბობაო, ვინი, გაჩუმდი, სიტყვების მთელი დღის მარაგს ნუ ფლანგავო, გაჩუმდი და თუ შეგიძლია რამე განსხვავებული გააკეთო. (ხელებს აწევს, თითებს თვალწინ გაიშლის და მიმართავს) აბა, გაინძერით, გააკეთეთ რამე! (ჩანთისკენ მიბრუნდება, რაღაცას ეძებს, პატარა ქლიბს ამოიღებს და ფრჩხილების გაქლიბვას შეუდგება. ერთხანს ჩუმად არის. მერე ისევ ლაპარაკს იწყებს. მისი საუბარი ქლიბის მოძრაობით არის გართმული). მეხსიერებაში – ვინმე – ბატონი პიპერი – ამოტივტივდა – ბატონი და – ალბათ, ქალბატონი პიპერი – თუმცა, ცოლ-ქმარი – არ უნდა იყვნენ – ხელიხელჩაკიდებულებს – ვხედავ – ალბათ საცოლეა – ან მეგობარი (ფრჩხილებს დაჰყურებს) ეს ფრჩხილები სულ მტყდება ამ ბოლო დროს. (ისევ იქლიბავს). პიპერი – პიპერი – გეცნობა – გვარი – ვილი – რამეს გახსენებს – ნუ მიპასუხებ – თუ არ გინდა – დღეს საკმარისად – დაიხარჯე – პიპერი – პიპერი (გაქლიბულ ფრჩხილებს აკვირდება) ეხლა არაუშავს. (თავს აწევს. პირდაპირ იყურება) გამაგრდი ვინი, სულ ამას არ ვიმეორებ, გამაგრდი და მოხდეს რაც მოსახდენია. (პაუზა. ისევ ფრჩხილებს იქლიბავს). ჰო – პიპერი – თუ კუკერი, იქნებ, მართლა კუკერია? (პაუზა. ვილისკენ მიბრუნდება) კუკერი, ვილი, ტვინი გაანძრე, ვილი, კუკერი! გახსოვს ეს სახელი? (პაუზა. უკეთ, რომ დაინახოს უკან გადაიხრება) რას გავს ეს, ვილი? (პაუზა) აბა, რას უშვები მაგ ცხვირსახოცს? არ გადაყლაპო მაინც. გადმოაფურთხე, ჩემი სიცოცხლე, გადმოაფურთხე! (პაუზა. გასწორდება) რას იზამ, ჩვეულებრივი ამბავია (ხმა ჩაუწყდება)

ბუნებრივი, ადამიანური მოვლენაა. რით ვუშველი? (პაუზა. იგივე ინტონაციით) დილიდან დაღამებამდე. (პაუზა) დღიდან დღემდე (პაუზა. თავს აწევს, ილიმება) ძველი სტილი! (ალარ ილიმება, ფრჩხილების ქლიბვას გააგრძელებს) არა, ეს ხელი უკვე მოვრჩი, (მეორე ხელს იქლიბავს) სათვალე უნდა გამეკეთებინა (პაუზა) ეხლა რაღა აზრი აქვს. (მარჯვენა ხელს შეუდგება. საუბარი, როგორც წინა რეპლიკაში, ქლიბის რიტმზეა აწყობილი) – ერთი სიტყვით ის, ვიღაც – კუკერი – თუ პიპერი – სულერთია – და ის ქალი – ხელიხელჩაკიდებულნი – ყავისფერი – დიდი ჩანთით – პირდაღებული – შემომყურებენ – მერე ის – ვერ ვიხსენებ – პიპერი თუ კუკერი – ამბობს – ნეტავ აქ რას აკეთებსო – ვის დაჭირდაო – მისი – ძუძუებამდე – გაუთლელი ხეპრე – ბაბუაწვერაში ჩაფლობაო – რა აზრი აქვსო – ნეტავ, აზრი თუ აქვსო – და ასე შემდეგ – ასე შემდეგ – სამწუხაროდო – უპასუხა ქალმა – რატომ სამწუხაროდო – რას ნიშნავს შენი სამწუხაროდო? (ფრჩხილებს შეეშვება. თავს აწევს, პირდაპირ დარბაზში იყურება) და შენ – ქალი ეუბნება – შენ თვითონ რამეს ნიშნავ? შენ თვითონ რამეს წარმოადგენ? შემდგარხარ ამ ბებერ ოჩოფეხებზე, ამოგიჩრია დაკონსერვებული ნეხვითა და ერთი დახეული საცვლებით გაძეპილი ჩანთა და დამათრევ წინ და უკან ამ საძაგელ, გაპარტახებულ უდაბნოში – შენ თვითონ ხარ კარგი პარტნიორი, შე გამოფიტული, უზრდელო ყანჩაო? (მოულოდნელი განრისხებით) – თავი დამანებე – ამბობს ქალი – ღმერთო ჩემო, მომშორდი, წადი აქედან! (ისევ ფრჩხილებს იქლიბავს) – კაცი – მაინც – თავისას აწვება – რატომ არ ამოთხრისო? – შენზე თქვა – ჩემო ანგელოზო – ასეთი ქალი რაში სჭირდებაო – ან ეს კაცი რის მაქნისიაო – და მსგავსი სისულელები – უნდა ამოვთხაროთო – თქვა მან – ასეთ ყოფას აზრი არა აქვსო – რით ამოვთხაროთ – ჰკითხა ქალმა – რაც არ უნდა თქვა – ცოლქმარი არიან და – ერთად იყონ ჯობიაო (ჩუმად განაგრძობს ფრჩხილების ქლიბვას) – მერე წავიდნენ – ხელიხელჩაკიდებულნი – ჩანთაც წაიღეს – და გაუჩინარდნენ – უკანასკნელი – ადამიანები – რომლებიც – ქარმა აქეთ გადმოისროლა. (მარჯვენა ხელის გაქლიბვა დაამთავრა, შეამოწმა, ქლიბი მიწაზე დადო, პირდაპირ იყურება) რა უცნაურია, ასეთ დროს მსგავსი მოჩვენებები (პაუზა) თუმცა აქ ყველაფერი უცნაურია. (პაუზა) და მაინც მაღლიერი ვარ (ხმა ებზარება) სულით და გულით მაღლიერი. (თავს ჩაქინდრავს. პაუზა. თავს აწევს. მშვიდად) დაწიე თავი, ვინი, აწიე თავი, ვინი, დაწიე, აწიე... და ასე უსასრულობამდე. (პაუზა) ეხლა რა გავაკეთო? (გრძელი პაუზა. ნივთების ჩანთაში ჩალაგებას იწყებს, სულ ბოლოს კბილის ჯაგრისს ჩადებს). ვფიქრობ – ძილის თადარიგის – დაჭერა – ცოტა ნაადრევია (შეჩერდება, თავს აწევს, ილიმება) – ძველი სტილი! – (ალარ ილიმება, ჩალაგებას აგრძელებს) – და მაინც – ვემზადები – დასაძინებლად – იმიტომ რომ – ღამე ახლოვდება – ზარიც მალე დაირეკება – და მე ვიტყვი - ვინი – ცოტაღა დაგრჩა, ვინი – ზარი საცაა დაირეკება. (შეჩერდება. თავს აწევს, პირდაპირ იყურება). ხანდახან ვცდები (ღიმილი) თუმცა იშვიათად. (ალარ ილიმება) ხდება ხოლმე, რომ დღის საქმეებს მოვრჩები, ყველაფერს ვიტყვი, ყველაფერს გავაკეთებ, ძილისთვისაც ყველაფერს მოვამზადებ დღე კი არ ილევა, არა და არ ილევა, არც ღამეს უჩანს პირი, არაფრით არ ღამდება (ღიმილი) თუმცა ეს იშვიათად ხდება (ალარ ილიმება) ჰოდა, როგორც კი ვიგრძნობ, რომ საცაა დაღამდება და ზარიც დაირეკება, ვიწყებ ჩალაგებას, ფაცი-ფუცს, ძილისთვის მზადებას და უცებ ვხვდები, რომ დრო ამერია... (ილიმება) თუმცა ეს იშვიათად ხდება (ალარ ილიმება. ჩალაგებას განაგრძობს) მაშინ მეგონა რომ – არა და მართლა მეგონა – რომ ამ ნივთებს ადრე – ძალიან ადრე – ვალაგებ ჩანთაში – თანაც ვფიქრობდი – არაუშავს, თუ დამჭირდება – ამოვიღებ და მერე ისევ ჩავალაგებ – ამოვიღებ – ჩავალაგებ – უსასრულოდ – ვიდრე ზარი არ დაირეკება (შეჩერდება. თავს აწევს, ილიმება) მაგრამ, არა! (ისევ ილიმება) არა და არა! (ალარ ილიმება. ისევ ჩანთის ჩალაგებას იწყებს) ვინმეს უცნაურად მოეჩვენება – ჰო, ნამდვილად უცნაურად მოეჩვენება ის – როგორ ვთქვა – ის რაც ეხლა ვთქვი – დიახ, ძალიან – უცნაურად – (რევოლვერს აიღებს) – ყველაფერი, რომ (რევოლვერის ჩადებას აპირებს, შეჩერდება, დარბაზისკენ მოტრიალდება) – ყველაფერი რომ – (რევოლვერს მარჯვნივ გადადებს, შეჩერდება, თავს აწევს) – თავისთავად უცნაური არ იყოს.

(პაუზა) ძალიან უცნაური (პაუზა) არასდროს არაფერი არ იცვლება. (პაუზა. დაიხრება, ბოლო ნივთის, კბილის ჯაგრისის ჩადებას დააპირებს, მაგრამ მის ყურადღებას ვილის გაურკვეველი წრიალი მიიპყრობს). დაგღალა შენმა სორომ, ჩემო კუდრაჭა? (პაუზა) მესმის, კარგად მესმის. (პაუზა) ქუდი არ დაგავიწყდეს! (პაუზა) არა და, ერთ დროს როგორ დაცოცავდი, ჩემო სიცოცხლე! (პაუზა) ჩემი გულის დასაპყრობად როგორ მიცოც-მოცოცავდი! (პაუზა) მუხლებზე, საყვარელო, მუხლებზე და თათუნებით წახემარე (პაუზა) მუხლებით, ხომ გითხარი მუხლებით! (პაუზა) მაინც რა წყევლაა ეს იძულებითი მოძრაობა! (ყურადღებით გადაადგილებს იქით,, სადაც იგი მოქმედების დასაწყისში იმყოფებოდა) ერთი მტკაველიც, ვილი და სახლში ხარ (პაუზა: თვალს ადევნებს ვილის ბოლო მოძრაობებს) ყოჩაღ! (თავს ძლივს გაასწორებს, კისერს მოისრესს) კისერი მომეგრინა შენი ყურებით (კისერს ისრესს) მაგრამ ღირდა, რაც კარგია კარგია! (ოდნავ მიბრუნდება მისკენ) იცი, ხანდახან რა მესიზმრება, ვითომ ჩემს მხარეს გადმოხარგდი და სულ, სულ გიყურებ და გხედავ (პაუზა. გასწორდება) როგორ გამოვიცვლებოდი (მისკენ ოდნავ მიბრუნდება). იქნებ ხანდახან. მაინც გადმოხვიდე ჩემს მხარეს, მხოლოდ ხანდახან მინდა, რომ შენი ცქერით დავტკბე. (პაუზა. გასწორდება) მაგრამ, რას იზამ, არ შეგიძლია (თავს დახრის) ვიცი, რომ არ შეგიძლია. (პაუზა) ვიცი. (პაუზა. თავს აწევს). თუმცა – (ჯაგრისს დაჰყურებს) – რაღა დაგრჩა, ვინი, ცოტაც მოითმინე და – (ისევ ჯაგრისს დაჰყურებს) – ზარიც დაირეკება.

გორაკის მიღმა ვილის მელოტი კეფა გამოჩნდება.

(ვინი ყურადღებით აკვირდება ჯაგრისს) ასპროცენტინანად გარანტირებული... (თავს აწევს)... როგორ იყო? (გამოჩნდება ვილის ხელი, რომელიც კეფაზე ცხვირსახოცს წაიფარებს).

ნამდვილი, ნატურალური... ასპროცენტინანად გარანტირებული... (ხელი ისევ გამოჩნდება, ამჯერად შლიაპით, რომელსაც მოხდენოლად, ოდნავ ირიბად თავზე დაიხურავს და გაქრება).

... ჰო! ღორის ჯაგრისი. (პაუზა) მაინც რა არის, ზუსტად რა არის ეს ღორი? (პაუზა. ოდნავ შებრუნდება) რა არის ღორი, ვილი? (პაუზა, ვედრებით) გემუდარები ვილი, მითხარი, ღორი რას ნიშნავს?

პაუზა

ვილი - დაკოდლილი ძუ ღორი წყვილჩლიქიანთა ოჯახიდან. (ვინის ბედნიერი სახე) სპეციალურად გაზრდილი დასაკლავად.

ვინი გასწორდება. ის, მართლა ძალიან ბედნიერია. ვილი უხილავი ხელებით გაზეთს გადაშლის, გაყვითლებულ ფურცლებში მხოლოდ მისი თავი მოჩანს. ვინი ბედნიერი გამომეტყველებით პირდაპირ დარბაზს უყურებს.

ვინი - ო, რა მშვენიერი დღე იქნებოდა, კიდევ ერთი ბედნიერი დღე. კიდევ ერთი. (პაუზა) ყველაფრის მიუხედავად. (ბედნიერი გამომეტყველება თანდათან ქრება მისი სახიდან) რაც აქამდე იყო.

პაუზა.

ვილი გვერდს გადაშლის. პაუზა. ვილი გვერდს გადაშლის

პაუზა.

ვილი - პრემიების გამომუშავებისთვის.

პაუზა.

ვინი ქუდს მოიხდის. ჩანთაში ჩასადებად მოემზადება, უცებ შეჩერდება, დარბაზისკენ მიტრიალდება. ღიმილი.

ვინი - არა. (იღიმება) ვერ მოგართვით! (აღარ იღიმება. ქუდს ისევ დაიხურავს, პირდაპირ იყურება. ვილი გაზეთს შლის) ეხლა რა გავაკეთო? (გრძელი პაუზა) ვიმღერო? (პაუზა) იმღერე შენი სიმღერა, ვინი. (პაუზა) არ გინდა? (პაუზა) მაშ, ილოცე. (პაუზა) შენი ლოცვა თქვი, ვინი.

პაუზა.

ვილი გვერდს გადაშლის.

პაუზა.

ვილი - სოციალური ხელშეწყობა.

პაუზა.

ვინი პირდაპირ იყურება. ვილი გვერდს გადაშლის

პაუზა. გაზეთი ქრება.

ვინი - თქვი შენი ძველი ლოცვა, ვინი.

გრძელი პაუზა.

ფარდა.

მეორე მოქმედება

იგივე დეკორაცია.

ვილი არ ჩანს.

ვინი ყელამდეა მიწაში ჩაფლული. თავზე ქუდი ახურავს. თვალები დახუჭული აქვს. მისი თავი, რომელსაც ვერ ატრიალებს, ვერ ხრის და ვერც მაღლა წევს, მთელი მოქმედება უძრავია. მითითებების თანახმად ცოცხლდება მხოლოდ ვინის თვალები

ჩანთა და ქოლგა ისევა დაწყობილი, როგორც პირველ მოქმედებაში. რევოლვერი გამოსაჩენ ადგილას, ვინის თავთან, მარჯვნივ არის მოთავსებული.

გრძელი პაუზა.

ხმამდლა ირეკება ზარი. ვინი მაშინვე ახელს თვალებს. ზარის ხმა წყდება, ვინი პირდაპირ იყურება.

გრძელი პაუზა.

ვინი - მოგესალმები, წმინდა ნათებავ. (პაუზა. თვალებს ხუჭავს. ზარი კვლავ გამაყრუებლად ირეკება. ვინი უცებ გაახელს თვალებს. ზარის ხმა წყდება, ვინი პირდაპირ იყურება და იღიმება. პაუზა. ღიმილი ქრება. პაუზა) ვილაც კიდეც მიყურებს. (პაუზა) ვილაცას კიდეც ვახსოვარ (პაუზა) რა მშვენიერია! (პაუზა) თვალი თვალს ეალერსება... (პაუზა) როგორ იყო იმ საოცარ ლექსში? (პაუზა. თვალები მარჯვნივ) ვილი! (პაუზა. უფრო ხმამდლა) ვილი (პაუზა. თვალებით პირდაპირ) იქნებ დროზე ვისაუბრო? (პაუზა) მაგალითად ვთქვა: რახანია არ გამოჩენილხარ, ვილი (პაუზა) ხომ ხედავ უკვე ვსაუბრობთ. (ღიმილი) ძველი სტილი! (ღიმილი ქრება) ისე ცოტა გვაქვს სალაპარაკო... (პაუზა) რომ ყველაფერზე ვლაპარაკობთ (პაუზა) როგორც შეგვიძლია. (პაუზა). მაშინ მეგონა ... ჰო, ნამდვილად მეგონა რომ მარტო ჩემთვის ლაპარაკს ვისწავლიდი (პაუზა) საკუთარ თავთან ლაპარაკს, როგორც უდაბნოში. (ღიმილი) მაგრამ არა. (ღიმილი) ვერ მოგართვით. (ღიმილი ქრება) უი, შენ აქ ყოფილხარ. (პაუზა). ო, სინამდვილეში შენ, ალბათ, უკვე მოკვდი, როგორც სხვები, ან წახვედი და მიმატოვე, როგორც სხვებმა, მაგრამ არა უშავს, შენ მაინც აქ ხარ (პაუზა. თვალები მარცხნივ) ჩანთაც აქ არის, იგივე და უცვლელი, მე ვხედავ მას. (თვალები მარჯვნივ. უფრო ხმამდლა). ჩანთა აქ არის, ვილი, არც გაცვითილა, ის ჩანთა შენ რომ ბაზარში სატარებლად მაჩუქე... (პაუზა. თვალები პირდაპირ). იმ დღეს (პაუზა) რომელ დღეს? (პაუზა) მაშინ ჯერ კიდეც ვლოცულობდი. (პაუზა) ამას არ ვამბობ ვლოცულობდი – მეთქი. (პაუზა) ჰოდა, ვადიარებ, რომ ვლოცულობდი (ღიმილი) ეხლა აღარ ვლოცულობ. (ღიმილი ძლიერდება) არა, არა (ღიმილი ქრება. პაუზა) მაშინ... ეხლა... თავგზა ამებნა. (პაუზა) იყო ის, რაც ხარ – და ამასთანავე, იყო ასე განსხვავებული იმისგან, რაც იყავი... (პაუზა) ჯერ ერთი ვარ, გესმის რას ვამბობ, ჯერ ერთი ვარ, მერე მეორე. (პაუზა) ხან ერთი, ხან მეორე. (პაუზა) ისე ცოტა რამ დაგვრჩა სათქმელი. (პაუზა) ამიტომაც ყველაფერს ვამბობთ (პაუზა) ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია. (პაუზა) სიმართლის გარდა. (პაუზა) არც ერთ მართალ სიტყვას არ ვამბობთ. (პაუზა) ჩემი ხელები. (პაუზა) ჩემი მკერდი (პაუზა). რომელი ხელები?

(პაუზა) რომელი მკერდი? (პაუზა) ვილი. (პაუზა) რომელი ვილი? (ალტკინებით, დამაჯერებლად) ჩემი ვილი! (თვალეები მარჯვნივ. ებახის) ვილი! (პაუზა. უფრო ხმამაღლა) ვილი! (თვალეები პირდაპირ) რას იზამ, არცოდნა... არცოდნა, არცვოდვია და ეს გარკვეულწილად დიდი წყალობაა, სხვას არც ვითხოვ. (პაუზა) ჰოდა... მაშინ... ეხლა... მწვანე ჩრდილი... ის... შარლო... შეხვედრა... კოცნა... ეს... ყველაფერი... ტვინის ამრევი იყო (პაუზა) ყველასთვის... ჩემს გარდა (ღიმილი) ეხლა მითუმეტეს (ღიმილი ძლიერდება) ვერ მოგართვით (პაუზა. ღიმილი ქრება. ვინი თვალეებს დახუჭავს)

ისმის ზარის გამაყრუებელი ხმა. ვინი იმავე წამს გაახელს თვალეებს.

პაუზა

ხელახლა ვხედავ იმ თვალეებს... და ვხედავ როგორ იხუჭება თვალეები... მშვიდად იხუჭება იმისთვის, რომ... სიმშვიდე დაინახონ. (პაუზა). ჩემი თვალეები კი აღარ იხუჭება (ღიმილი) მით უფრო ეხლა. (ღიმილი ძლიერდება) ვერ მოგართვით. (ღიმილი ქრება. პაუზა) ვილი! (პაუზა) დედამიწა, ვილი... არ გეჩვენება, რომ დედამიწამ ატმოსფერო დაკარგა? (პაუზა) ჰა, რას იტყვი, ვილი? (პაუზა) ვერაფერს? შენი აზრი არ გაგაჩნია? (პაუზა) რას იზამ, ისევ შენი თავის ერთგული რჩები. არც არასდროს... არაფერზე არ გქონია საკუთარი აზრი. (პაუზა) გასაგებიცაა. (პაუზა) ჩვენი სფერო, ვილი, დედამიწა. (პაუზა) იცი, ამაზე ხშირად მიფიქრია. (პაუზა) იქნებ მთლიანად არა... (პაუზა) იქნებ რაღაც მაინც გადარჩეს ყველაფრისგან... (პაუზა) ყოველთვის რჩება რაღაც... (პაუზა) მცირე ნარჩენები. (პაუზა) თუ გონებაც დაიკარგება... (პაუზა) რა თქმა უნდა ეს არ მოხდება. (პაუზა) მთლიანად მაინც ვერ დაიკარგება. (პაუზა) ჩემი, ყოველ შემთხვევაში არ დაიკარგება. (ღიმილი) მით უფრო ეხლა (ღიმილი ძლიერდება). ვერ მოგართვით! (ღიმილი ქრება. პაუზა) და მაინც, ასე რომ მოხდეს სამარადისო სიცივე დაისადგურებდა (პაუზა) უსასრულო გამყინვარება. (პაუზა) ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა, უბრალოდ ბედნიერი დამთხვევაა... (პაუზა) აბა, დიდი წყალობაა, დიდი სიკეთეა ჩემს მიმართ. (პაუზა) ეხლა რა გავაკეთო? (პაუზა) სახე. (პაუზა) ცხვირი. (თვალეებს ცხვირის მიმართულეებით დაბრციავს) ვხედავ... (დაბრეცილი თვალეებით)... წვერს... ნესტოებს... და შთაბერა სიცოცხლის სუნთქვა ... ვხედავ კეხს... რომელიც ასე მოგწონდა... (ტუჩებს გამობერავს)... ტუჩების ჩრდილს... (ისევ გამობერავს) თუ გავიბუტები... (ენას გამოყოფს)... რა თქმა უნდა ვხედავ ენას... (ისევ გამოყოფს) რომელსაც შენ გემოს უმინჯავდი... (ისევ გამოყოფს) თუ გამოვყოფ... (ენას გამოყოფს)... ვხედავ ენის წვერს... (მაღლა აიხედავს) შუბლი... წამწამები... არ გამოვა... აქ წარმოსახვა უნდა ავამუშავო... (თვალეები მარცხნივ)... ლოყა... არა (თვალეები მარჯვნივ)... არა... (ლოყებს დაბერავს)... რომც გავბერო... (თვალეები მარცხნივ. ისევ დაბერავს)... არა... არ გამოდის... ვარდისფრად მქონდა აფეთქებული. (თვალეებს გაასწორებს) ესაა და ეს. (პაუზა) და კიდევ ჩანთა. (თვალეები მარცხნივ) ცოტა ბუნდოვნად ვხედავ, მაგრამ ჩანთაა. (თვალეებს გაასწორებს. უდარდელად) დედამიწა, რა თქმა უნდა და ეს ცა. (თვალეები მარჯვნივ) ქოლგა, რომელიც იმ დღეს მაჩუქე... (პაუზა)... იმ დღეს... ტბაზე... ლელიანში. (თვალეებს გაასწორებს) რომელ დღეს? (პაუზა) რომელ ლელიანში? (გრძელი პაუზა. თვალეებს დახუჭავს).

ისმის ზარის გამაყრუებელი ხმა. თვალეებს გაახელს. პაუზა.

(მარჯვნივ იყურება) და რა თქმა უნდა, ბრაუნი. (პაუზა) გახსოვს ბრაუნი, ვილი? (პაუზა) ხომ გახსოვს ბრაუნი, მე მას ეხლაც ვხედავ. (პაუზა. ხმამაღლა) ბრაუნი აქ არის, ვილი, ჩემთან. (პაუზა. უფრო ძლიერად) ბრაუნი აქ არის, ვილი. (პაუზა. პირდაპირ იყურება) ესაა და ეს. (პაუზა) მათ გარეშე რა მეშველებოდა? (პაუზა) რა მეშველებოდა თუ სიტყვებიც კი გამირბიან, თუ სიტყვებსაც ვეღარ ვპოულობ? (პაუზა) ხმაგაკმენდილი პირდაპირ დავიწყებდი ყურებას? (გრძელი პაუზა. ტუჩებს მოკუმავს და პირდაპირ იხრება). არ შემძლია (პაუზა) მაინც დიდი

წყალობაა, დიდი შვება. (პაუზა. ჩუმად). ხანდახან ხმაური, ხმები მესმის. (თითქოს უსმენს. ნორმალური ხმით) იშვიათად მესმის. (პაუზა) მაგრამ სულ ვლოცავ ამ ხმებს... ვლოცავ, იმიტომ რომ დღის გაღებაში მეხმარებიან. (ღიმილი) ძველი სტილი! (ღიმილი ქრება) ო, რა მშვენიერია ის დღეები, როცა ხმები ჩემთან მოდიან. (პაუზა) როცა ხმები მესმის. ადრე მეჩვენებოდა...

პაუზა

ჰოდა იმას ვამბობდი, რომ ადრე მეჩვენებოდა თითქოს ხმები ჩემს თავში იყვნენ. (ღიმილი) თურმე არა (ღიმილი) ვერ მოგართვით. (ღიმილი ძლიერდება) თურმე ეს უბრალო ლოგიკა იყო. (პაუზა) გონება. (პაუზა) გონება არ დამიკარგავს. (პაუზა) ჯერჯერობით (პაუზა) ბოლომდე არ დამიკარგავს (პაუზა) შემრჩა. (პაუზა) ხმები. (პაუზა) როგორც პატარა მოზღვავება... პატარა პატარა დაშლილი ტალღა (პაუზა. ჩუმად) როგორც ნივთები, ვილი (პაუზა. ნორმალური ხმით) ჩანთაში, ჩანთის მიღმა. (პაუზა) დიახ, ნივთები თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ, სულ ამას არ ვიმეორებ, ნივთებს თავისი ცხოვრება აქვთ. (პაუზა) ჩემს სარკეს, მაგალითად, მე არ ვჭირდები (პაუზა) ზარი, (პაუზა) როცა დარეკავს მახვილივით ბასრი და მტკიცენეულია. (პაუზა) ვერ წაუყრებ. (პაუზა) რამდენჯერ მითქვია... (პაუზა) ჰოდა იმას ვამბობდი, რამდენჯერ მითქვია, დაყრუვდი, ვინი, ყურადღებას ნუ მიაქცევ, დაიძინე და გაიღვიძე, დაიძინე და გაიღვიძე, როცა მოგეპირიანება, გაახილე და დახუჭე თვალი, როცა მოგინდება, ან როცა შენ გაწყობს. (პაუზა) გაახილე და დახუჭე, ვინი, გაახილე და დახუჭე, და იყავი ასე... სულ (პაუზა) არ გამოდის. (ღიმილი) ეხლა, მითუმეტეს. (ღიმილი ძლიერდება) ვერ მოგართვით! (ღიმილი ქრება. პაუზა) ეხლა რა გავაკეთო? (პაუზა) ეხლა რა ვქნა, ვილი? (პაუზა) როცა სხვა არაფერია, ჩემი ამბავი ხომ მრჩება. (პაუზა) ჩემი ცხოვრება. (ღიმილი) გრძელი ცხოვრება (ღიმილი ქრება) როგორც უხსოვარ დროში, მილდრედის მოგონებანიც თვით სიცოცხლის საწყისიდან, საშვილოსნოდან იწყება და სიკვდილის პირას მისული იგი ისევ საშვილოსნოს, დედის საშვილოსნოს გაიხსენებს (პაუზა) მილდრედი სულ ოთხი თუ ხუთი წლისაა და მას უკვე აჩუქეს დიდი თოჯინა, ულამაზესად გამოწყობილი (პაუზა) ტუფლები, წინდები, მაქმანით მორთული საცვლები, ფრიალა, ბაფთებიანი კაბა, ხელთათმანები. (პაუზა) თეთრი-ქათქათა, აჟურული... (პაუზა) თავზე ჭილოფის პატარა თეთრი ქუდი რეზინკით. (პაუზა) მარგალიტის მძივი. (პაუზა) თითქოს ნამდვილი პაწაწუნა დასურათებული წიგნი წარწერებით, სეირნობის დროს ილიაში ამოსადებად. (პაუზა). დიდი ცისფერი თვალები თავისთავად იღებოდა და იხუჭებოდა. (თხრობით კილოში) მზე ოდნავ ამოიწვერა, მილი კი უკვე ამდგარი იყო... ის ფრთხილად გამოვიდა... (პაუზა) მან ხალათი მოიცვა, ფრთხილად გამოვიდა თავისი ოთახიდან, მაღალი კიბე სულ ცოცვით ჩაიარა, თუმცა მას უკრძალავდნენ კიბეზე მარტო ჩასვლას და შეიპარა (პაუზა)... თითისწვერებზე, უხმაუროდ გაიარა ცარიელი კორიდორი, შეიპარა საბავშვო ოთახში და თავის შვილიკოს ტანსაცმლის გახდა დაუწყო. (პაუზა) თან ჭკუას ასწავლიდა და ტუქსავდა. (პაუზა) უცებ, სად იყო და სად არა – პატარა თავი – (გრძელი პაუზა) არ აჩქარდე, ვინი. (გრძელი პაუზა. ეძახის) ვილი! (პაუზა. ხმამაღლა) ვილი! (საყვედურით) ხანდახან ძალიან უცნაურად იქცევი, ვილი, ასეთი უმიზეზო სისასტიკე არასოდეს გახასიათებდა და ეხლა რა მოგდის? (პაუზა) უცნაურად? (პაუზა) ო, არა. (ღიმილი) აქ, არაფერია უცნაური. (ღიმილი ძლიერდება) ეხლა მითუმეტეს. (ღიმილი ქრება) და მაინც – (უცებ აღელდება) ხომ არაფერი მოგივიდა? (თვალები მარჯვნივ. ხმამაღლა) ხომ კარგად ხარ, ჩემო ძვირფასო? (პაუზა. თვალებით პირდაპირ) ვაი, თუ ჯერ თავი შეყავი მაგ სოროში, ვილი! დმერთმა დაგვიფაროს! (თვალებით მარჯვნივ. ხმამაღლა) შემთხვევით, მანდ ხომ არ გაიჭედე, ვილი? (პაუზა. ხმამაღლა) რამე ხომ არ დაგეცა, ვილი? (პაუზა. თვალები პირდაპირ. სასოწარკვეთილი გამომეტყველებით) ვაი თუ შველას ითხოვს, ყვირის, მე კი ვერ გავიგე. (პაუზა) ხმები კი მესმოდა. (პაუზა) მაგრამ ისინი ხომ ჩემს თავში, წარმოსახვაში არსებობს. (პაუზა) ნუთუ შესაძლებელია, რომ - (პაუზა. დარწმუნებული ტონით) არა, არა, ეს ხმები უკვე დიდი ხანია

მესმის... (პაუზა) არეული, სუსტი ყვირილი. (პაუზა) ხმები მოქრიან - (პაუზა) - მერე მიქრიან - (პაუზა) - როგორც ქარის ტალღაზე. (პაუზა) სასწაულია პირდაპირ, საოცრება. (პაუზა) მერე ჩუმდებიან. (პაუზა) აბა, დიდი წყალობაა, დიდი სიკეთე. (პაუზა) აი, დღევანდელი დღეც მთავრდება. (ლიმილი. ლიმილი ქრება) და მაინც სიმღერისათვის ცოტა ადრეა. (პაუზა) დიდი შეცდომაა უდროოდ დროს სიმღერა, სულ ამას არ ვამბობდი. (პაუზა) მეორეს მხრივ, ზედმეტი მოცდაც არ ვარგა (პაუზა). მილის დრო მოვა, ზარი დაირეკება, შენ კი არ გიმღერია. (პაუზა) მთელი დღე გაივლის – (ლიმილი. ლიმილი ქრება) – უკანდაუბრუნებლად; შენ კი ერთი პატარა, უბადრუკი სიმღერაც კი არ გიმღერია. (პაუზა) აი, რაშია საქმე. (პაუზა) ტყუილუბრლოდ... ვერც წაილიღინებ. (პაუზა) ხანდახან სიმღერა მოგაწვება... არავინ იცის, რატომ რისთვის. ჰოდა, მოგადგება პირზე, შენ კი თავს იკავებ და ყლაპავ მას. (პაუზა) მერე შენ თავს ეუბნები: დროა, ან ეხლა ან არასდროს და არ შეგიძლია. (პაუზა) ასე უმიზეზოდ ვერ იმღერებ (პაუზა) ერთ ბგერასაც კი. (პაუზა) კიდევ ერთი რამ უნდა გითხრა, ვილი, ვიდრე სხვა თემაზე გადავსულვარ (პაუზა) სევდა სიმღერის მერე. (პაუზა) გამოგიცდია, ვილი, შენი ცხოვრების მანძილზე? (პაუზა) არა? (პაუზა) ინტიმური, სექსუალური ურთიერთობის მერე მოზღვავებული სევდა ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ნაცნობია. ამ საკითხში, ვილი, ვფიქრობ, არისტოტელეს ეთანხმები. (პაუზა) ჰო, ასეთ სევდას ყველა განიცდის და ჩვენ კარგად ვიცით, როგორ უნდა მოვერიოთ მას. (პაუზა) მაგრამ, სიმღერის მერე?! (პაუზა) რასაკვირველია, ასეთი სევდა ხანგრძლივი არ არის. (პაუზა) და მალე იფანტება. (პაუზა) საოცარია პირდაპირ (პაუზა) როგორ იყო იმ მშვენიერ ლექსში? (პაუზა) ყველაფერი... ტა-ლა-ლა- დავიწყებას მიეცემა... ტალღა... არა... ყველაფერი... ტა-ლა-ლა... იფანტება... არა... მიდის... ტალღა... არა... ზვირთი... ჰო... ზვირთს ზვირთი მიაქვს... და იგი... არა... ტალღა... ჰო... დავიწყების ზღვარს მიღმა მოქცეული... ტალღათა რიგი... გიმსუბუქებს... თავდავიწყებას... თავდავიწყებას. (პაუზა. ოხვრით) ჩვენს კლასიკოსებს ვკარგავთ. (პაუზა) თუმცა, ყველას არა. (პაუზა) ნაწილობრივ. (პაუზა) რაღაც მაინც გრჩება. (პაუზა) კარგია, თუ კლასიკა ცოტა მაინც გახსოვს, დღის გადაგორებას გაადვილებს. (პაუზა) აბა, დიდი წყალობაა, დიდი სიკეთეა. (პაუზა) ეხლა კი... (პაუზა) ვილი, ეხლა რა გავაკეთოთ? (გრძელი პაუზა). გონების თვალი უხმობს ვინმე... პიპერს თუ კუკერს – (თვალეებს დახუჭავს .ისმის ზარის გამაყრუებელი ხმა. ვინი იმწამსვე გაახელს თვალეებს. პაუზა) ხელიხელჩაკიდებულნი, ჩანთებით. შუახნის (პაუზა). არც ახალგაზრდები, არც ბებრები. (პაუზა) გაჩერდნენ, პირდაღებული მომაშტერდნენ. მკერდს არაუშავს, ამბობს კაცი, უარესიც მინახავს. (პაუზა) მხრებსაც არაუშავს, განაგრძობს იგი, უარესიც მინახავს. (პაუზა) ნეტავ, ფეხებს თუ გრძნობს?, ამბობს კაცი (პაუზა) როგორ ფიქრობ, ფეხები სულ წაერთვა, თუ კიდევ ამოდრავებს? კითხულობს იგი (პაუზა) ნეტავ იქ, ქვემოთ სულ შიშველია? ამბობს იგი, კითხე რა, მე ვერ ვბედავ. (პაუზა) აბა, რა ვკითხო? ამბობს ქალი (პაუზა) რა და ფეხებს თუ ამოდრავებს, ქვემოთ თუ შიშველია (პაუზა. განრისხებული). თვითონ კითხე, თუ კარგია, მე თავი დამანებე, ღვთის გულისათვის, ხელი გამიშვი. წადი, გამშორდი! (ჩაიცინებს) არა! (იღიმება) ვერ მოგართვეს! (აღარ იღიმება) ვხედავ, როგორ მიდიან (პაუზა) მაინც ხელიხელჩაკიდებული, ჩანთებით. (პაუზა) უკვე ბუნდოვნად ვხედავ. ეხლა, ველარ ვხედავ (პაუზა) გზას აცდენილი უკანასკნელი ადამიანები. (პაუზა) მეტი აქ არავინ მოსულა. (პაუზა) ეხლა რა ვქნა? (პაუზა. ჩუმად) მიშველე, ვილი, მიშველე. (პაუზა) არ შეგიძლია? (გრძელი პაუზა) უცებ ერთი პატარა თავუნა... (პაუზა. თხრობით კილოში) უცებ ერთი პატარა თავუნა მილის ფეხზე შეცოცდა... მალა, უფრო მალა მიცოცავდა და...

მილდრედმა თავისი შვილი თოჯინა გვერდზე მოისროლა და შემინებული აკივლდა – (ვინი უცებ გულგამგმირავად იყვირებს) – აკივლდა, მაგრამ რას აკივლდა – (ორჯერ იყვირებს) – საწყალი გოგო კიოდა და კიოდა, ვიდრე ყველამ ღამის პერანგების ამარა მასთან არ მიირბინა, დედა, მამა, ბიბი, ბები და მოხუცი ანა გულგახეთქილი მოვარდნენ ამბის გასაგებად. ღმერთო

ჩემო, რა დაემართა ჩვენს გოგოს, ღმერთო ჩემო, ვინ აწყენინა ჩვენს გოგოს. (პაუზა) მაგრამ უკვე გვიან იყო... (პაუზა) გვიან იყო. (გრძელი პაუზა. ძლივს გასაგონად) ვილი. (პაუზა. ნორმალური ხმით). არა უშავს, ვინი, ცოტაღა დაგრჩა, ზარი მალე დაირეკება და შენ თვალების დახუჭვას შეძლებ, უფრო ზუსტად, შენ უნდა დახუჭო თვალები, ვინი, და მეტი აღარ გაახილო ისინი. (პაუზა). ერთი და იგივეს რატომ ვიმეორებ? (პაუზა) ადრე მეგონა... (პაუზა) ჰოდა, იმას ვამბობდი, რომ ადრე მეგონა, თითქოს წამების მესაქმედებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობდა, (პაუზა) ერთ დროს ვამბობდი... (პაუზა)... ჰო, სულ ვამბობდი, ვინი, შენ არასდროს გამოიცვლები იმიტომ, რომ წამის ერთი მესაქმედი მეორისგან არ განსხვავდება. (პაუზა) ამ თემას რატომ დავუბრუნდი? (პაუზა) თუმცა, ისე ცოტა გვაქვს სალაპარაკო, რომ ყველაფერზე ხელახლა ვიწყებთ ლაპარაკს. (პაუზა) ყველაფერზე რაზეც შეგვიძლია. (პაუზა. განრისხებით) კისერი მტკივა. (პაუზა) ასე, უკეთ ვარ. (ოდნავ გაღიზიანებული) შედარებით. (პაუზა) არც საქმე მაქვს... არც სათქმელი... (პაუზა) არა და რაღაც ხომ უნდა ვთქვა... აი, რაშია საქმე! (პაუზა) არა, ამ სამყაროში რამე უნდა შეიცვალოს, ამოდრავდეს, მე მეტი აღარ შემიძლია. (პაუზა) თბილი ნიავი (პაუზა) ან ერთი ამოსუნთქვა. (პაუზა) როგორ იყო იმ უკვდავ ლექსში? (პაუზა) ხომ შესაძლოა მოგვეფნოდა სრული წყვილი, უკუნი ღამე გამოსავალს, თუ არ გვიტოვებს. (პაუზა) უბრალო დამთხვევაა, ჩემის აზრით, განუსჯელი ალაღბედობა. (პაუზა) სიკეთე და წყალობის წვიმა! (პაუზა) და მერე? (პაუზა) ეხლა რა ვქნათ, ვილი? (გრძელი პაუზა). ვარდისფერი შამპანური და ის დღე! (პაუზა) ბროლის ჭიქები. (პაუზა) ყველა წავიდა, ჩვენ მარტო დავრჩით. (პაუზა) ბოლო ყლუპი და სხეულით თითქმის ვეხებოდით ერთმანეთს. (პაუზა) შენი მზერა. (გრძელი პაუზა) რომელი დღე... რომელი ყვირილი.... (პაუზა) იმდერე! (პაუზა) იმდერე, შენი ძველი სიმღერა, ვინი.

გრძელი პაუზა.

ვინი გაფაციცებით რაღაცას უსმენს და მარჯვნივ იხედება. მარჯვნივ, გორაკიდან ვილის თავი გამოჩნდება. იგი ოთხით მოძრაობს, მაგრამ საზეიმოდ არის გამოწყობილი – ცილინდრი, ზოლიანი შარვალი, თეთრი ხელთათმანები და ა.შ. პირისახეს გრძელი, ფუშფუშა თეთრი უღვაში უმშვენებს. პირდაპირ გაიხედავს, მერე უღვაშებზე ჩამოისვამს ხელს, მარჯვნივ მიბრუნდება, შეჩერდება, თვალებს მალა ასწევს, ვინის შეხედავს და ასევე ოთხით სცენის შუაგულისკენ გაცოცდება. შეჩერდება, პირდაპირ დარბაზს შეხედავს, უღვაშებს, ჰალსტუხს და სურთუქს გაისწორებს, მოკობტავდება, ცოტა წინ წაიწევს შეჩერდება, ცილინდრს მოიხდის და ვინის შეხედავს. ვილი ამჯერად თითქმის სცენის შუაგულშია და, შესაბამისად, ვინის მხედველობის არემია მოქცეული. თავაწეული დიდხანს ველარ ძლებს და მუბლით ღამის ფიცარნავს შეეხება.

ვინი - (კეკლუცად) ამას რას ვხედავ! რა სასიამოვნო, მოულოდნელი სიურპრიზი. (პაუზა). გაზაფხულის ის მშვენიერი დღე გამახსენდა, შენი სიყვარული რომ მომატირე: გაღმერთებ ვინი, ჩემი უნდა გახდე! (ვილი მას შეჰყურებს). სიცოცხლე დაცინვაა ვინის გარეშე! (ვინი უცებ გადაიხარხარებს) უიმე, რასა ჰგავს ეს ოთხათ მოკეცილი წუწუნა! (იცინის) თაიგული სად არის? (ვილი თავს დახრის). კისერზე რა გაქვს? ფურუნკული? მაგას მოვლა უნდა, ვილი, თორემ მთელ ტანზე მოგედება. (პაუზა). სად დამეკარგე, ვილი, რატომ არ ჩანდი? (პაუზა) მთელი ეს დრო რას აკეთებდი? (პაუზა) იცვამდი? ჩემი ყვირილი არ გესმოდა? (პაუზა) შენს სოროში გაიჭედე?

პაუზა. ვილი თვალებს მიაბრუნებს და შეხედავს.

ვინი - ჰო, ვილი, ჰო, შემომხედე. (პაუზა) გაახარე შენი ბებერი თვალები (პაუზა) შემრჩა რამე? ცოტა მაინც... ძველებური? (პაუზა) იცი, დღეს თავის მოვლა ვერ მოვასწარი. (ვილი თავს ხრის)

შენ, კიდევე გიცნობს ადამიანი, რაღაც მაინც შეგჩა, გარკვეულწილად... (პაუზა) საცხოვრებლად აქეთ გადმოსვლას ხომ არ აპირებ... ცოტა ხნით მაინც? (პაუზა) არა? (პაუზა) აბა, აქეთ შემთხვევით მოხვდი? (პაუზა) შენ რა დაყრუვდი კიდევე, ვილი? (პაუზა) თუ დამუნჯდი? (პაუზა) დიდი მოლაპარაკე არც არასდროს ყოფილხარ: გაღმერთებ ვინი, ჩემი უნდა გახდე და მორჩა კინო, მერე მხოლოდ გაზეთში ამოკითხული განცხადებებით თუ დამელაპარაკებოდი. (პაუზა) თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, კიდევე ერთი ბედნიერი დღე იქნებოდა, კიდევე ერთი ბედნიერი დღე... ყველაფრის შემდეგ. (პაუზა) თუმცა, რაღა დაგრჩა, ვინი? ძალიან ცოტა. (პაუზა) ყვირილი მესმის. (პაუზა) შენ გესმის ხოლმე ყვირილი? (პაუზა) არა? (თვალეებს ვილისკენ მიატრიალებს). შემომხედე, ვილი! (პაუზა) კიდევე ერთხელ შემომხედე, ვილი!

ვილი შეხედავს, ვინი ბედნიერია.

ვინი - ო-ოჰ! (პაუზა. მოკირებულად) რა მოგივიდა, რა სახე გაქვს? (პაუზა) ქუდი დაიხურე, საყვარელო, ვერ ხედავ რა მზეა, ნუ გერიდება, დაიხურე, ჩემის ნებართვით.

ვილი ქუდას და ხელთათმანებს გადააგდებს და გორაკზე ვინისთან ასვლას ცდილობს.

ვინი - (მხიარულად) ერთი ამას დამიხედეთ! ფანტასტიურია, თვალეებს არ ვუჯერებ.

ვილი გაჩერდება, ერთი ხელით გორაკის წვერს მოეჭიდება

მეორესაც ნელ-ნელა ზევით სწევს.

ვინი - (მხიარულად). მიდი, მიდი, ჩემო სიცოცხლე, ენერგიულად, მიდი, მე ტაშს დაგიკრავ, გაგამხნევებ. (პაუზა). ჩემკენ მოცოცავ, ვილი, თუ სხვა რამეს ეძებ? (პაუზა) გინდა... შემეხო?... კიდევე ერთხელ? (პაუზა) გინდა მაკოცო, ვილი, თუ სხვა რამეც მოგიინდა? (პაუზა) იყო დრო, როცა ხელის მოწოდება შემეძლო. (პაუზა). უფრო ადრე ხელს დასახმარებლად გიწვდიდი ხოლმე, ვილი! (პაუზა) შენ ყოველთვის და ყველაფერში წახმარება გჭირდებოდა, ვილი!

ვილის ფეხი დაუცდა და გორაკიდან ჩამოგორდება.

ვინი - ბუუმ-ბრახ!

ვილი ისევ ოთხზე დადგება და თვალეებს ვინის მიაპყრობს.

ვინი - კიდევე ერთხელ სცადე, ვილი, ოვაციას გაგიმართავ. (პაუზა) ასე ნუ მიყურებ. (პაუზა. სიმწრით) ასე ნუ მიყურებ, ძალიან გთხოვ, ასე ნუ მიყურებ. (პაუზა. ხმადაბლა) სულ დაკარგე გონება, ვილი? (პაუზა. იგივე ტონით) შენი ბებერი გონების საწყალი, უბადრუკი ნარჩენებიც მიაკარგე?

პაუზა.

ვილი - (ხმადაბლა). დავლიოთ.

პაუზა.

ვინი თვალეებს მოაბრუნებს და ბედნიერი სახით პირდაპირ დარბაზს უყურებს.

ვინი - დავლიოთ! (პაუზა) ო, რა ბედნიერი დღე იქნებოდა, კიდევე ერთი ბედნიერი დღე... ყველაფრის შემდეგ... (ბედნიერი გამომეტყველება ქრება) რაც აქამდე იყო.

პაუზა.

ვინი ჩუმად წაილილინებს მელოდიას, რომელიც დასაწყისში მუსიკალური ზარდახშიდან გაისმოდა, ნელ-ნელა აყვება მუსიკას და წყნარად მღერის

ლამაზი ჟამი

გვატრობს

ნელ-ნელა...

ხვევნა

ალერსი და დაპირება...

აუწერელი ერთობის წამი

ვნების მორევში

მითრევს მე ნელა

ყველაფერი ვთქვი,

დავრჩები თქვენთან.

პაუზა

თვალებს დახუჭავს. ზარის ხმა. თვალებს გაახელს. ეღიმება. თვალებით ვილის მოძებნის. იგი ისევ ფიცარნაგ ზეა გართხმული, მაგრამ თვალები ვინისკენ აქვს მიპყრობილი. ვინის ღიმილი ქრება. ვინი და ვილი ერთმანეთს შეჰყურებენ.

გრძელი პაუზა.

ფარდა.